საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიფცეკვაა, ტყვილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკანასკნელზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 13 ივნისი. 2022 წ. №73 (9411) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ერისა და ბერის გასაგონად!

⑤ ხალხი და ქვეყანა, რომელიც ეროვნული ენის დაცვას ვერ შეძლებს, სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს!

ავთანდილ არაბული:

დავით გურგენიძე

⑥

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია უკრაინაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია, რექტორის, პროფესორ დავით გურგენიძის ხელმძღვანელობით, უკრაინაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის ტექნოლოგიებისა და დიზაინის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ასევე, სტუ-ის რექტორს დავით გურგენიძეს უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის რექტორმა მაქსიმ ლუცკიმ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი გადასცა.

რა განსხვავებაა ევროპარლამენტსა და რუსულ ხომალდს შორის?!

ბიძინა დვალი:

კრემლი კრემლია, გინდა, მოსკოვის იყოს და გინდა - ვაშინგტონის(!).

რუსულმა ხომალდმა უკრაინელ დამცველებს მოუწოდა – **დაგვნებდით, ჩაგვბარდით და მიწა, რომელიც თქვენი სამშობლო გგონიათ, ჩვენ ვისაც დავავალებთ, იმათ უნდა მართონო.**

ევროპარლამენტი გვეუბნება – **ქართველო ხალხო, ჩვენი აღქმებიდან გამომდინარე, რასაც თქვენი ხელისუფლება აკეთებს, ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება და სულ ცალ ფეხზე გვკიდია, თქვენი ცხრაგზის ნდობაგამოცხადებულია თუ არა და დღესაც ენდობით თუ არაო.** განვითარების გზაზე ყველანაირ წინააღმდეგობას შეგიქმნით, **ვიდრე ჩვენ ვისაც „ვენდობით“, იმათ, ანუ „ჩვენს ნაძირალებს“, არ ჩავაბარებთ ძალაუფლებასო.**

გულუბრყვილო, ანუ პატიოსანი მკითხველი იტყვის, **რადგან რუსულ ხომალდსაც და ევროგაერთიანებასაც ერთი საბოლოო მიზანი აქვთ, მათ შორის ვერანაირ განსხვავებას ვერ ვხედავო და ამ ევროხომალდსაც იმ მისამართზე გააგზავნის, უკრაინელმა ჯარისკაცებმა რუსულ ხომალდს რომ გამოუწერეს.**

არა, ჩემო კარგებო, მთლად ასე იოლად არ არის საქმე. რუსულ ხომალდთან დაკავშირებით თუ შედარებით მარტივადაა ყველაფერი, რადგან რასაც ვხედავთ და რაც გვესმის, იმის იქით არაფერი იმალება, **ევროკავშირის ჩვენდამი დამოკიდებულებას ერთგვარი კროსვორდის სახე აქვს, რადგან ათასი ურთიერთგადაჯვარედინებული დეტალისგან და ნიუანსისგან შედგება.**

ნათელია, რომ რუსი სალდაფონი თავისი დიდი ზემდგომის, მოსკოვის კრემლის ბრძანებას ასრულებს (სამართლიანობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხელისუფლებას დემოკრატიულობაზე რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია არ აქვს), რომელმაც აუხსნა, რომ ისინი იბრძვიან ძირძველი რუსული მიწების დასაბრუნებლად და მათი ომი არა უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ, არამედ უკრაინელი ნაცისტების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის მიერ 1922 და 1954 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დაჩაგრულ რუს ხალხს ხელს უშლიან ისტორიული სამართლიანობის აღდგენაში.

იხ. 3 გვ.

ახალ სასახლეში გამარჯვებები დაგვკვებებოდეს!

უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ახალი სპორტის სასახლე უკრაინელი და ქართველი არტისტების მონაწილეობით გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტით გაიხსნა, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. კონცერტიდან შემოსული თანხა ომით დაზარალებული უკრაინელი ბავშვებისა და ქალების დასახმარებელ ფონდში გადაირიცხება.

ახალი სპორტის სასახლე ოფიციალურად 11 ივნისს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნეს.

ევროპამ „ზემოდან“ მაშინ უნდა დაგვხედოს, თუ ჩვენი ფეხზე წამოყენება უნდა!..⑧

დაპირისპირება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის

ირაკლი ღარიბაშვილი: თუ კანდიდატობაზე გადაწყვეტილება იქნება შეურაცხმყოფელი, ყველაფერს ფარდას ავხდი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპარლამენტის კრიტიკულ რეზოლუციას ეხმიანება და აცხადებს, რომ თუ მსგავსი გადაწყვეტილება იქნება მიღებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე, „ყველაფერს ფარდას ახდის“.

„ჩვენ თავმოყვარე ერი ვართ, ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია მსოფლიოში, უძველესი კულტურით და ძალიან მაგარი ამაყი ხალხით. აქ ამპარტავნობაზე არაა საუბარი, მაგრამ ჩვენ ისე ნუ წარმოვაჩენთ, რომ რაღაცას ვმათხოვრობთ და ვეხვეწებით ვინმეს. ეს საჯაროდ ვთქვი ბრიუსელშიც, დავოსშიც და ბრატისლავაშიც. ჩვენ არაფერს ვითხოვთ დაუმსახურებელს. მე ვითხოვ სამართლიან დამოკიდებულებას, პატივისცემის გამოხატულებას. 17 ივნისს ევროკომისიის მოსაზრება იქნება და, მთავარი, 23-24 ივნისს დაველოდები. მე მანამდე შევინარჩუნებ რეზერვაციას, რომ მეტი არ ვილაპარაკო ჩვენი ხალხის წინაშე. თუ გადაწყვეტილება ისეთი უსამართლო, ისეთივე შეურაცხმყოფელი იქნება ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, მე ვიტოვებ რეზერვაციას, რომ ყველაფერს ფარდას ავხდი და ჩვენს ხალხს ყველაფერს ვეტყვი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა. ამასთან, ევროპარლამენტი საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის პირობებით მინიჭებისკენ მოუწოდებს:

„ევროპარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებს, იმუშაონ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად, დამსახურების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს ყველა კრიტერიუმს“.

თუ მთავრობა ბლოკავს პრეზიდენტს, ბრიუსელში როგორ აღმოჩნდა ის?!

...მინდა, ზოგადად ყველას შევახსენო, რომ ჩვენი სახელმწიფო არის სუვერენული სახელმწიფო და დამოუკიდებელი ქვეყანა. ჩვენი ქვეყანა იმართება კანონებით და კონსტიტუციით. მინდა, შევახსენო ყველას, მათ შორის პრეზიდენტს, რომ ყველამ და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ჩვენ, უმაღლესი თანამდებობის პირებმა უნდა დავიცვათ და მაგალითი მივცეთ კანონის ზედმიწევნით შესრულების, კონსტიტუციის დაცვის და ზოგადად წესების და ნორმების დაცვის. რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ ნახსენებ ვოიაჟს, მინდა, შემდეგი რამ განვუმარტო მოსახლეობას — ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყველა ოფიციალური მომართვა, რაც ჩვენ მივიღეთ პრეზიდენტისგან, მე ყველაფერზე ხელი მოვაწერე და ყველა მისი თხოვნა, მომართვა დავაკმაყოფილე. გახსოვთ, რომ პრეზიდენტი იმყოფებოდა გერმანიაში, საფრანგეთში, ახლა იტალიაში იყო და საკვირველია ფაქტი, რომ თავად ეს განცხადება ქალბატონმა სალომემ გააკეთა ბრიუსელიდან. კითხვას ვუსვამ ყველას, თუ მთავრობა ბლოკავს პრეზიდენტს და არ უშვებს არსად, ევროპის დედაქალაქში, ბრიუსელში როგორ აღმოჩნდა?!

რაც შეეხება სხვა ქვეყნებში ვიზიტს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, დღეის მდგომარეობით, არავითარი სხვა მომართვა სხვა ქვეყნებში ვიზიტთან დაკავშირებით არ შემოსულა. მე, რა თქმა უნდა, ვხელმძღვანელობ წესებისა და კანონების მიხედვით. მე გეუბნებით სრული პასუხისმგებლობით, მტკიცებულებით. არ შემოსულა მთავრობის ადმინისტრაციაში არც ერთი მოთხოვნა, რაც შემოვიდა ყველა დავუკმაყოფილეთ!

სამწუხაროა, რომ პირდაპირ იმეორებს ქალბატონი სალომე ამ დესტრუქციული, მავნებელი ოპოზიციის, ქვეყნის მტრების განცხადებებს და მათ ნარატივში ჯდება... იმედი მაქვს, რომ იგი გაერკვევა უკეთ მთავრობის მუშაობაში...

ვინარჩუნებ ოპტიმიზმს, რომ ევროპაში გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ!

...კანდიდატის სტატუსის ფასი შევაფასოთ, ჩვენს მოქალაქეებს უნდა ვუთხრათ სიმართლე. მე ვარ ვალდებული და ანგარიშვალდებული ჩვენს ხალხთან, რომ მათ ვუთხრა სიმართლე. კანდიდატის სტატუსი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არის სიმბოლური. ჯერ კიდევ დიდი იმედი მაქვს და ვინარჩუნებ ოპტიმიზმს, რომ ევროპაში გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც, რა თქმა უნდა, ევროპის ინტერესებშიც არის, ჩვენს ინტერესებშიც არის და ეს გადაწყვეტილება არ იქნება რუსეთის ინტერესებში. რა თქმა უნდა, ეს სტატუსი ძალიან კარგია, მაგრამ მთავარი დოკუმენტი, ღერძი და გზამკვლევი არის ასოცირების შეთანხმება, უვიზო რეჟიმი, თავისუფალი ვაჭრობა. ასოცირებულ ტრიოს რომ აცხადებენ, უკრაინა-მოლდოვას, არ მინდოდა შემედარებინა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ყველა პარამეტრით ვუსწრებთ უკრაინას, მოლდოვას და აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების შესრულებით, თავისუფალი ვაჭრობის შესრულებით, რომელიც უკვე 50%-ით არის შესრულებული და 45%-ით არის შესრულებული ასოცირების შეთანხმება. კანდიდატის სტატუსი არის სიმბოლური მნიშვნელობის“, — დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ზარდიანთკარი-ხელჩუას მონაკვეთზე ოკუპანტები კვლავ გამოჩნდნენ

რუსეთის **საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები უკანონო ბორდერიზაციას განაგრძობენ. უკანონო სამუშაოები კვლავ გრძელდება ზარდიანთკარი-ხელჩუას მონაკვეთზე,** — ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ადასტურებს. არსებული ინფორმაციით, საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები მავთულხლართებს აახლებენ და ამყარებენ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, სამუშაოები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ფაქტზე ამოქმედებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი.

სასამართლომ ეკა კვესიტაძეს „რუსთავი 2“-სთვის 25 ათასი ლარის გადახდა დააკისრა

სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ყოფილ ჟურნალისტს ეკა კვესიტაძეს შრომითი ხელშეკრულების დარღვევის გამო ტელეკომპანიისთვის 25 000 ლარის გადახდა დააკისრა, — ამის შესახებ ინფორმაციას სასამართლოში ეკა კვესიტაძის ინტერესების დამცველი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, კვესიტაძემ სასამართლოს თავად მიმართა და დისკრიმინაციული მოტივით სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასა და ნამუშევარი პერიოდის თანხას ითხოვდა. **საიას ინფორმაციით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე გადაწყვეტილება დღეს, 10 ივნისს გამოაცხადა. გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლომ კვესიტაძის სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერად მიიჩნია და „რუსთავი 2“-ს მხოლოდ ნამუშევარი პერიოდის სახელფასო ანაზღაურების გადახდა დააკისრა. თავად კვესიტაძეს კი კომპანიის სასარგებლოდ 25 000 ლარის გადახდა დააკისრა, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, რაც საია-ს განმარტებით, „მთავარ არხში“ მუშაობის გაგრძელებას გულისხმობდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებით, ორგანიზაციისთვის „სრულიად მიუღებელია“ გადაწყვეტილების გამოცხადებისას სასამართლოს მიერ გახმიანებული პოზიციები და აღნიშნული განაჩენის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.**

დროებითი „წარმონაქმნი“, როდემდე!!!

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია - თბილისში?!

გასული საუკუნის მიწურულს, ჩვენი ქვეყნის ეროვნული მოძრაობის აბობოქრებულ დღეებში, **„მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა“.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, **საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტის შესაბამისად, 11 დეკემბერს (1990 წ.) გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.**

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, საქართველოს ხელისუფლებაში ხმაურით მოსულ ,,ვარდების რევოლუციის“ მესვეურთა ძალისხმევით, **„ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 13 აპრილის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წარდგინების საფუძველზე, პარლამენტმა დაადგინა: „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნას დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“(?!)**

დამოუკიდებლობის ეკალ-ბარდიან გზაზე დამდგარ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულმა ნაცმოძრაობამ თუ როგორ ,,მშვიდობიანად“ მოაგვარა კონფლიქტი ყოფილ ავტონომიურ ოლქში, შედეგი მწარე — 2008 წლის აგვისტოს ომია...

თავისუფლების გოლგოთას შემდგარ მრავალჭირნახულ საქართველოში კიდევ ერთი წარმონაქმნი — ,,დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“ (?!).

დედაქალაქში განთავსებულ დროებით ადმინისტრაციას სათავეში „ახალი, სტალინური“ წარმონაქმნის ხელმძღვანელი, დიმიტრი სანაკოევი უდგას, რომელსაც მისივე ავტორობით, თბილისში დასტამბულ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე და საკმაოდ სქელტანიან (რუსულ ენაზე დაბეჭდილ, 300 გვ-მდე) მემუარულ წიგნში ,,Остаюсь оптимистом – я осетинский патриот“ („მე ოსი პატრიოტი — ოპტიმისტად ვრჩები!“) გაეცნობით.

იხ. 11 გვ.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲐ, ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ – ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ(!).

ᲠᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲐ ᲔᲕᲠᲝ-ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ?!

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) რაც შეეხება ევროკავშირს... „მსოფლიო დემოკრატიის მამები“ გვეუბნებიან:

კარგად ვიცით, რომ საქართველოს სამართლიან და კონკურენტულ არჩევნებში ხალხის მიერ მრავალგზის არჩეული ხელისუფლება ჰყავს; ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ სასამართლოს უსამართლო, უკანონო და პოლიტიკური დაკვეთის მაგვარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კონკრეტული ქეისები არ არსებობს; ისიც საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თუ ათი წლის წინ არცერთი კრიტიკული მედიასაშუალება არ ფუნქციონირებდა და ყველაფერი ჩვენი ქოლგის ქვეშ მყოფ ნაცხელისუფლებას ჰქონდა მიტაცებული, ახლა მარტო ე.წ. ოპოზიციაზე ექვსი სატელევიზიო არხი მუშაობს, თანაც აღვირახსნილი მეთოდებით და გარდა ამისა, უამრავი სხვა არხი შეუზღუდავად გადის ეთერში და სხვა მრავალი... მაგრამ, მაინც ისეთი აღქმა გვაქვს, რომ:

ა) **თქვენ** მიერ არჩეული ხელისუფლების საქმიანობა არ შეესაბამება **თქვენს** მისწრაფებებს;

ბ) **სასამართლო უსამართლოა, რადგან მკვლელი, მძარცველი და მოძალადე რეჟიმის ბელადი სააკაშვილი ციხეში გიზით, მიუხედავად იმისა, რომ მას ნერვულ სისტემას უზიანებს გისოსებისა და ბადრაგის ცქერა, რაც არაადამიანური მოპყრობის ტოლფასია.** ანდა **გვარამიას მიერ შვიდი მილიონის მითვისება რა არგუმენტია, როცა ორმოცდა რვა მილიონის მომპარავი უგულავა გაგაშვებინეთ „დემოკრატიისა და სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე“;**

გ) **მედია კი არის მრავალსუბიექტიანი** და ჩვენთვის საინტერესო ნაწილი კვლავაც ინარჩუნებს სიბინძურის მაღალ დონეს, მაგრამ, ჯერ ერთი, **გვარამიას მონაწილეობით მაინც სულ სხვა იყო, რადგან ასეთი ყოველგვარი სისაძაგლის მკადრებელი საუკუნეში ერთი იბადება** და მეორე, **მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მძარცველ კეზერაშვილს სასათბურე პირობებს ვუქმნით და ათეულობით მილიონს ვახარჯვინებთ მათ შენახვაზე, შედეგებს ვერ ვხედავთ...** ყველა ჩვენი გათვლით, ნაცპარტიას ბოლო არჩევნებიც უნდა მოეგო და ბოლოს წინაც და თუ სასურველი პროცენტი არ დაიდებოდა, რევოლუციას ხომ წინ ვერაფერი უნდა დასდგომოდა...

ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მიუხედავად ფართო პროპაგანდისა, **თქვენი დანაშაულებრივი სიჯიუტის გამო, ვერ ვახერხებთ რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნას**... ეჰ, მიშა, მიშა, შენ რომ ყოფილიყავი, **ხომ ითარეშებდნენ ახლა რუსის ჯარისკაცები საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში, ხომ უფრო მეტ მატერიალურ ზიანს მიიღებდნენ და ხომ უფრო გაუტყდებოდა სახელი ჩვენს საერთო მტერს გულში სათამაშოებჩახუტებული ქართველი ბავშვების გვამების ფონზე გადაღებული ფოტოებით?**

ერთი სიტყვით, რამდენიც არ უნდა იხტუნაოთ, საქართველოს ხელისუფლებავ და მისი ზურგის გამმაგრებელო ქართველო ხალხო, აქ **ცალკარობიას გეთამაშებით** და არ გირჩევთ „თქვენ ზევითა ხართ, ჩვენ ქვევით...“ და რაღაც მაგდაგვარებით ჩვენს დამუნათებას.

ისე, ეს ქართველები რა გულუბრყვილო ხალხი ხართ,.. აქამდე როგორ ვერ მიხვდით, რომ **დემოკრატია, სამართლიანი არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო და მსგავსი კატეგორიები მხოლოდ ჩვენთვის არის ფართო და შეუზღუდავი შინაარსის ცნებები.** თქვენ, უკრაინას, მოლდოვას და კიდევ ბევრ თქვენისთანას რა როლსაც ჩვენ განგისაზღვრავთ, იმას უნდა დასჯერდეთ, სიტყვის შეუბრუნებლად. **რას გვიქვია, ჩვენს ქალებს და ბავშვებს ვერ გავწირავთ უაზრო ომისთვისო?** რა არის აზრიანი და რა არის უაზრო, ამაზე გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებთ.

...და აი, იმ აბზაცამდეც მივედით, სადაც მთავარ **„საიდუმლოს“** უნდა აეხადოს ფარდა: მთელი ამ პროცესის შემოქმედი და ორგანიზატორია ის მრავალმხრივ გამორჩეული ძალა, რომელსაც აქვს საფუძვლიანი პრეტენზია, აყალიბებდეს მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგს. **ეს ის ძალაა, რომელმაც პრეზიდენტ ზელენსკის „ურჩია“, გაეწვია ელჩი საქართველოდან და მერე საერთოდ გადაეყენებინა გაურკვეველი მიზეზით; ვინც უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს „კარნახობდა“, სხვადასხვა ფორმების (ძირითადად, შეურაცხმყოფელი) გამოყენებით როგორ ჩაეთრიათ ჩვენი ქვეყანა დამღუპველ ომში; ვინც არ მალავს, რომ საქართველოში ისურვებდა სხვა ხელისუფლებას; ვინც ოფიციალური წარმომადგენლებისა თუ მოვლინებული შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით გეგმავდა არეულობის სხვადასხვა, არჩევნებთან მიბმულ, თუ არჩევნების გარეშე სცენარებს; ვინც წლებია უწყვეტ რეჟიმში უხვად აფინანსებს ანტისახელისუფლო და თავისი არსით ანტისახელმწიფო ე.წ. არასამთავრობოებსა და ე.წ. ექსპერტებს; ვინც გზას უკვალავდა და ზურგს უმაგრებდა ევროპარლამენტის კულისებში მოსუნსულე, ნაცბორდელის მიერ სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების მიზნით მივლინებულ პოლიტიკურ პროსტიტუტკებს...**

რომელი ერთი ვთქვათ... გასდის და აკეთებს... და საერთოდ, ვინ ჰკითხავს ევროპარლამენტს და მთლიანად ევროკავშირს, რა ხდება მსოფლიო პოლიტიკაში და რა იქნება საქართველოში ან უკრაინაში, განსაკუთრებით ქალბატონი ანგელა მერკელის წასვლის შემდეგ ასე რომ არის დაუძლურებულ-დაბეჩავებული. ვიღაცებს უკვირთ, თვენახევრის წინ მიღებული ტექსტი თავდაყირა როგორ ამოატრიალესო. თავდაყირა კი არ ამოატრიალეს, **იმ ძლიერმა ხელმა თავზე გადაახია და საქართველოში გვარამიას და სამადაშვილის გარდა რომ არავინ იკადრებდა, ის ტექსტი ააფარა თვალებზე.**

დიახ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, **საქმე ისევ „კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“** ეხება – **„ვაშინგტონის კრემლს“.** ყველა ლოგიკით, ყველა ღია და ფარული ინფორმაციის შეჯერებით, ძაფების ყველა ბოლოს ერთად შეკრებით, რუსეთთან ომში მყოფი ერთობის ლიდერ სახელმწიფომდე მივდივართ. **ჩვენც ამ ერთობის წევრი ვართ, ოღონდ ესაა, ჩვენი როლი სხვანაირად წარმოგვიდგენია და ღირსეულადაც ვასრულებთ, მაგრამ წინამძღოლი „უფროსი ძმის“ პოზიციებიდან დაჟინებით მოითხოვს, „საზარბაზნე ხორცის“ მისია ვიტვირთოთ.**

აღნიშნული პოლიტიკის სრული სახელია – **XXI საუკუნის ნეოკოლონიალიზმი ნეოლიბერალიზმის მეტასტაზებით(!).**

გეთანხმებით, მძიმე წასაკითხია, მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ იმაში, რომ **მძიმე წასაკითხი იმიტომაა, რომ სიმართლეა...** დღეს ყველა თავმოყვარე ქართველი გეტყვით, **თუ ევროკავშირი იმ სიმართლით დადის, რაც რეზოლუციაში წერია, რა მინდა ასეთ ერთობაშიო,** თუ ევროკავშირი ფოტიგა, კუბილიუსი, ფონ კრამონი და გრეგოროვაა, არც ასეთ ერთობაში დამრჩენია რამეო...

ჩემო მკითხველო, ისევ შესავალში წამოჭრილ დილემას დავუბრუნდები. მიუხედავად ზემოთ ხსენებულ ორ სუბიექტს შორის დიდი მსგავსებისა, მაინც გირჩევდით და გთხოვდით კიდევაც, **ნუ იჩქარებთ ევროპარლამენტის რუსული ხომალდის მიმართულებით გაშვებას!!!**

ჩვენი მიზანი თანამედროვე, დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შენებაა. ამას ვეძახით ევროპულ ღირებულებებს. ევროკავშირის წევრობა ამ მიზნების მიღწევის ლოგიკური გაგრძელებაა და არანაირად არ არის თვითმიზანი. **ერთი მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომში ევროკავშირის მეორეხარისხოვანი როლი და მეორე მხრივ, სხვის მიერ თავსმოხვეულ, ტყუილებით გაჯერებულ, სამარცხვინო რეზოლუციაში მომავალი პარტნიორის მიმართ გამოვლენილი უღირსი დამოკიდებულება, იმაზე მიუთითებს, რომ ევროპულ ღირებულებებს თავად ევროკავშირი დაშორდა.** შეუიარაღებელი თვალითაც აშკარაა, რომ გაზულუქებასა და ნაყროვანებაში გადასული იმდენად დასუსტდა, რომ წამყვანი როლი ყველა მიმართულებით დაკარგა, უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო პოლიტიკაში. ნუ შეგვეშინდება ამაზე ხმამაღალი საუბრის, რადგან ჩვენი ორიენტირი ძლიერი ევროპაა, ხოლო გაძლიერების წინაპირობა მომავალი პარტნიორების მხრიდან სწორი ანალიზი და ობიექტური თვითშეფასებაა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲐᲫᲕᲘ – „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲛᲐ“ ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲘᲮᲡᲜᲔᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲜᲔᲚᲘᲠᲘᲪᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲗ. ᲨᲔᲛᲝᲛᲢᲔᲕᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲫᲚᲝᲗ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲢᲔᲮᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲗ ᲒᲕᲔᲫᲜᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ.

გაჯიუტებულმა **„ვაშინგტონის კრემლმა“,** რომელსაც კატეგორიულად არ სურს მეორე ფრონტთან დაკავშირებით ჩვენ მიერ უარყოფილი გეგმის კორექტირება, **ახლა უკვე ევროპარლამენტარების** (როგორც მანამდე უკრაინელი „პოლიტიკოსების“) **მეშვეობით სცადა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის კიდევ ერთი შეურაცხყოფა მიეყენებინა.** მეც კიდევ ერთხელ გავიმეორებ და დარწმუნებული ვარ, ამით მთელი ქართველი ხალხის სათქმელს ვიტყვი – **ევროკანდიდატობა მაინცდამაინც დღეს იქნება თუ ხვალ, ეს არ არის მთავარი, მთავარია პრინციპებს არ ვუღალატოთ, ღირსება არავის შევალახვინოთ და ყველაზე რთულ ვითარებაშიც, პრობლემებთან პირისპირ მდგარი, ამაყად წარმოვთქვამდეთ – საქართველო სახელმწიფოა!**

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ
10.06.2022 Წ.

P.S. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲓᲐᲡᲯᲘᲡ“ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲔᲡ – ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲐᲪᲡ ᲗᲣ ᲠᲐᲛᲔ ᲐᲦᲐᲣᲤᲝᲗᲔᲑᲡ, ᲔᲡᲐᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪ, ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲝ ᲛᲝᲚᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲜᲢᲘᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, ᲒᲝᲜᲘᲔᲠ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲡ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲛᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲓᲐᲚᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲔᲑᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐᲡ – ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲐ, �გᲘᲜᲓᲐ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐ �გᲘᲜᲓᲐ – ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ(!).**

◎ ᲙᲐᲪᲣᲜᲐ

ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲓᲐᲜ – „ᲖᲛᲔᲔᲕᲡᲙᲘᲓᲐᲛᲓᲔ“

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ თემის პიკანტურობის გამო უკვე სამი თვეა, რაც პირში წყალი გვაქვს ჩაგუბებული და სათქმელს გარს, როგორც ჩრდილოეთში ამბობენ, — „ვოკრუგ და ოკოლო“ ვუვლით, მაგრამ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი?!

მოგეხსენებათ, ადამიანის გამოსაცდელად იგი ძალაუფლებით ან ფულით უნდა აღჭურვო, ხოლო თუ ორივე კომპონენტითაა უზრუნველყოფილი, პიროვნულ გარყვნამდე და სულიერ დეგრადირებამდე მანძილი კატასტროფულად მცირდება.

ჩვენც ზოგადი მსჯელობის ლაბირინთებში რომ არ ჩავიკარგოთ, პირდაპირ ვიკითხოთ — რას გვერჩის ახალი უფროსი ძმის მიერ წაქეზებული და უკიდეგანო რესურსებით, რა თქმა უნდა, ასმაგად ამოღების პერსპექტივით დასპონსორებული უკრაინის თავკაცი, რომელმაც ქვეყანა ყოფილ, თანაც ერთმორწმუნე სისხლსა და ხორცს შეაჩეხა და მომავალ თაობებს, დიდი ალბათობით, ზელენსკად კი არა, „ზმეევსკად“ გაახსენებინებს თავს.

საუბარია იმ უმადურობასა და უზრდელობაში გადაზრდილ არადიპლომატიურ გამოხდომებზე, რითიც მტკვრისპირელ თუ გადნეპრისპირებულ ნაცზონდერებთან ჩახუტებული ეს ტაკიმასხარა ამ ბოლო დროს თავის ქვეშევრდომებთან კამპანიაში განსაკუთრებით გამოირჩევა და ძალაუნებურად გაფიქრებინებს — ჩვენ უმცროს ძმად, იგივე დაბალ ღობედ ხომ არ მივაჩნივართო?

სხვათა შორის, ქართველებისადმი უანგარო დამოკიდებულებით, მეგობრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, არც მისი წინამორბედნი ბრძანდებოდნენ მამა აბრამის ბატკანნი — მაგალითად, მხოლოდ ახლახან გარდაცვლილი დამოუკიდებელი უკრაინის პირველი პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის დასახელებაც კმარა აფხაზეთის ომის კონტექსტში, მაგრამ მისი კლოუნი მემკვიდრე იქამდე დაეშვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ტრიოს ფორმატიდან მისი სახელმწიფოს ჩახსნა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნად მხოლოდ უკრაინის დაჩქარებული წესით მიღება მოითხოვა. აი, როგორ ესმის მეგობრობა, საუკუნეების სიღრმიდან დღემდე მოტანილი ორი ერის ძმობა და სტრატეგიული პარტნიორობა თანამედროვე „ვოლოდიმირს“.

თუ ამ შემთხვევაში, ცნობილი ებრაული სიბრძნისა არ იყოს, ისეა საქმე — არც იცოდე და არც სხვისი გესმოდესო, ეს ცალკე უბედურებაა, მაგრამ ჩვენ მაინც ვალდებულნი ვართ, ისტორიული სიმართლე მაინც განვაცხადოთ, რომელსაც, დარწმუნებულნი ვართ, აქაური მსტოვრები კიევამდე ჩააცუნცულებენ — შორეულ წარსულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სულ ახლახან — 30 წლის წინათ რუსეთთან 13-თვიანი და 13-დღიანი სამამულო ომი ჩვენ გადავიტანეთ და თუ ვინმე იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატად კი არა, პირდაპირ წევრად მიღებას, ეს უპირველესად საქართველოა! ამიტომ ტელევარსკვლავობას შეეშვი, სულ რაღაც სამთვენახევრიანი ცოდვების მოსანანიებლად პეჩორსკაია ლავრაში ილოცე და მერე „ებლატავე“ ქართულ საზოგადოებას!

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ?!

„...ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲞᲠᲐᲘᲓᲘᲡ ᲐᲠᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲛᲔᲡ, ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲚᲥᲛᲔᲑᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲑᲘᲔᲚᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ.

დღესავით ნათელია, რა დგას ამ ყველაფრის უკან. როგორც ქართულმა საზოგადოებამ, ისე ევროპელებმა ძალიან კარგად იციან, რომ სიმართლე სულ სხვაგანაა. თუმცა, სამწუხაროდ, არც ქართველებს და არც ევროპელებს არავინ არაფერს ეკითხება. დიდი ძალისხმევის, შანტაჟისა და ზეწოლის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება არ ჩაერთო ომში და ამისათვის უნდა დაისაჯოს. ამერიკელებს უნდათ ჩვენი დასჯა და ყველამ კარგად იცის, რომ ევროპის რესურსი, მათ წინააღმდეგობა გაუწიოს, სრულიად ნულოვანია.

სააკაშვილი რომ კრიმინალია და მისთვის ის მისჯილი 6 წელიც არაფერია, ამერიკელებმა ჩვენზე უკეთ იციან. თუმცა, ხვდებიან, რომ საქართველოში ომის დაწყებისთვის სააკაშვილის განთავისუფლება საუკეთესო ნიადაგს შექმნიდა. ომის პარტიას ომის ტელევიზიაც სჭირდება და რადგან ომის პროპაგანდას გვარამიაზე უკეთ ვერავინ გაართმევს თავს, მის გაშვებასაც ამიტომ ითხოვენ. პრაიდის ჩატარებაც როგორც შარშან, ისე წელს და გაისად იმიტომ უნდათ, რომ ამით საზოგადოება გახლიჩონ და მღელვარების ახალი ტალღა შექმნან.

ივანიშვილის არაფორმალურ მმართველობაზე საუბარი სასაცილოც აღარაა იმ ფონზე, როცა ეს კაცი პოლიტიკაში არავითარი ფორმით აღარ ჩანს. არავის არცერთი ფაქტი არა აქვს პოლიტიკაში მის მონაწილეობაზე, თორემ მის გამომზეურებას ამერიკელებს ვერავინ დაასწრებდა. შესაბამისად, ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართულობა და მისი რუსული კავშირები სრული ფიქცია რომაა, ესეც ყველამ ძალიან კარგად იცის. თუმცა, ივანიშვილს იქით „კრედიტ სუისის“ გადარიცხვებით აშანტაჟებენ და აქეთ სანქციების მუქარით.

ადრეც ვამბობდი, რომ ევროკავშირის კანდიდატობა, რომელიც, პრაქტიკული თვალსაზრისით, არცერთი ქვეყნისთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს, მხოლოდ ჩვენთვის მოიფიქრეს. სადაც თურქეთს და ჩრდილოეთ მაკედონიას უკვე 23 და 17 წელზე მეტს ალოდინებენ, იქ საქართველო, უკრაინა და მოლდოვა შეიძლება 30-50 წელიც ალოდინონ, მანამდე კი ევროკავშირისგან რა დარჩება, კაცმა არ იცის.

ამერიკელები საქართველოს ფულს რომ აძლევდნენ, ამ ფულის წართმევით დაგვაშანტაჟებდნენ. თუმცა, ფულს არ გვაძლევენ და შესაბამისად, შანტაჟისთვის ახალი ხრიკის მოფიქრება — კანდიდატის სტატუსი დასჭირდათ. კანდიდატის სტატუსი რომც მოგვცენ, ისეთ პირობებს მიაბამენ, რომელთაგან უკლებლივ ყველა სახელმწიფო სუვერენიტეტის დათმობის, ხელისუფლების ცვლილებისა და ნაცმოძრაობის დაბრუნებისკენ იქნება მიმართული. ეს ყველაფერი რამდენიმე დღის წინ სალომე სამადაშვილს საჯაროდ წამოცდა კიდეც.

მოკლედ რომ შევაჯამო, ამერიკელებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა იმდენად უნდათ, რომ ამისთვის უკვე ყველაფერს კადრულობენ. თუმცა, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ რწმენას, რომ ეს მცდელობები ვერავითარ შედეგს ვერ გამოიღებს და ხელისუფლება საქართველოს დამღუპველ ომში არასოდეს ჩართავს.

მეგობრისთვის თავიც შეიძლება გაწირო, თუმცა, მეგობარი, რომელიც შენგან თავის გაწირვას მოითხოვს, მეგობარი არცაა. აქედან გამომდინარე, ამერიკელებს საქართველოსთვის მორალურად შემოსადავებელი არაფერი აქვთ“.

ᲖᲐᲖᲐ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ᲜᲐᲢᲝ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲡ ᲓᲒᲐᲛᲡ ᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ

2022 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲜᲐᲢᲝ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲗᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲗᲐᲝᲡᲐᲜᲛᲐ — ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲔᲢᲐ�პᲡ ᲛᲘᲐᲦ�წᲘᲐ — ᲜᲐᲢᲝᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ.

ᲔᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ, — ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲕᲔᲑᲒᲕᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ.

„ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲖᲘᲡᲝ ᲙᲣᲠᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ 2020 ᲬᲚᲘᲡ �გᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ �გᲐᲘᲐᲠᲐ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲐᲪᲘᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ. ᲜᲐᲢᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲣᲜᲐᲠᲡ, ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦ�წᲔᲕᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ“. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲥᲕᲐᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘ.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დირექტორის, თეა ნიკოლაიშვილისთვის, ნატო-საქართველოს ურთიერთთავსებადობის არსი ახლა სცდება საკლასო ოთახებში „საბრძოლო ოთახებსა“ და „ბრძოლის ველებს“. ქართველი და უცხოელი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლები საქართველოს ევროატლანტიკური უსაფრთხოებისთვის მუშაობენ.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა 2016 წელს დაარსდა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წამყვან ინიციატივას წარმოადგენს, რომლის მიზანია გააძლიეროს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობები და გაზარდოს ნატოს წევრობისთვის მომზადება. სკოლა პროფესიული განვითარების პროგრამებსა და ინსტრუქტაჟს გვთავაზობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შავი ზღვის უსაფრთხოება, კარგი მმართველობა, შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო ზედამხედველობა. ასევე, ჰიბრიდული ომი, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალები მშვიდობასა და უსაფრთხოებაში, თავდაცვის ტრანსფორმაციის სტანდარტების ასახვა სწავლებისა და განვითარების პროცედურებში. საქმიანობის დაწყების დღიდან, სკოლასთან თანამშრომლობა დაიწყო კლინგენდელის ინსტიტუტმა პროფესიული კონსულტაციების გაწევისა და აღჭურვილობის გადაცემით, რაც ნატოს „თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარების ნდობის ფონდის მიერ“ არის დაფინანსებული.

სკოლის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოს „ინტეგრაციის მშენებლობის“ ინიციატივასთან, ნატოს სხვა სერტიფიცირებული კურსების განვითარებისთვის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კარგი მმართველობის განვითარების მიზნით. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიზანია გახდეს ცოდნის რეგიონული ცენტრი, შავი ზღვის უსაფრთხოების უფრო ფართო კონტექსტში და იმოქმედოს, როგორც პლატფორმამ, რომელიც ხელს შეუწყობს ნატოსა და ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებას სწავლებისა და განვითარების (აქტივობების) გზით“, — აღნიშნულია სტატიაში.

ხალხი და ქვეყანა, რომელიც ეროვნული ენის დაცვას ვერ შეძლებს, სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს!

აქ წარმოდგენილი ფოტოსურათები ჩვენი დედაქალაქის გულის, ჩვენი საამაყო რუსთაველის გამზირის გაყოლებით არის გადაღებული. ისინი (მათი მხოლოდ ნაწილი) სახელმწიფო ენის კანონის ელემენტარულ მოთხოვნათა სხვადასხვაგვარ უგულებელყოფას ათვალსაჩინოებენ. ასეთი თვალსაჩინოების დროს ამბობენ, კომენტარი ზედმეტიაო; ანდა რა კომენტარი უნდა ამას, როცა ეს მცირედიც ილიასეული სარკესავით გვიხატავს ჩვენი თანამედროვე ყოფიერების „ლამაზისეულ“ სახეს. როდესაც ქვეყნის გულისგულში ასეთი ვითარება გვაქვს, ადვილი წარმოსადგენია, გარე-გარე და ზერე-ზერე რაღა იქნება (იმედია, ამის ხილვის საშუალებაც მოგვეცემა)!

ახლანდელ სათითხმეტაპრილოდ ერთ-ერთ მოწინავე გაზეთში სახელმწიფო ენის მწვავე პრობლემების თაობაზე წერილი გამოვაქვეყნე, რომელშიც, სხვათა შორის, იმასაც ვუთითებდი, რომ თვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც კი არღვევს სახელმწიფო ენის კანონის მოთხოვნებს (ამის ილუსტრაციას აქაც გთავაზობთ). ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩვენი უსაფრთხოება საჭირო სიფხიზლით არ ეკიდებოდა მედიის კრიტიკულ ინფორმაციებს, მით უმეტეს, ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში, როგორიც სახელმწიფო ენის უფლებების (თანაც ორგანული კანონით განმტკიცებულის) დაცვაა!..

ამგზებენ, რომ ისტორიისეული და ცხოვრებისეული სიგრძეცაა: შეეგუე იმას, რისი შეცვლაც არ შეგიძლია! მაგრამ ეს მწარე ობიექტური კაცობრიული სიგრძე ხშირად საზიზღარ კონფორმისტულ ფილოსოფიად გვევლინება – შეეგუო ყველაფერს და არ იკითხო არაფერი, არ ეძებო სამართალი, რადგან იმავე ჭკუით: „მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა!“ ამ შეგნებით რომ ეცხოვრათ ჩვენს წინაპრებს, არც ენა შეგვრჩებოდა და არც ქვეყანა. ამიტომაც გრძენთაგრძენი რუსთაველი სხვა ისტორიულ არჩევანს გვთავაზობს, როცა გვეუბნება: მართალია, ყველანი წარმავლობის მსახვრალ ხელში ვართ, მაგრამ „**ვაქებ სიმხნესა გრძენთასა, რომელნი ეურჩებიან**!“ აი, ამ „სიმხნის ფილოსოფიაზე“ მოდის მთელი ქართული სულიერი კულტურა და მნიგნოგრობა, ამისი გამოხატულებაა გარათაშვილის – „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს...“ და ილია მართლის „გედნიერი ერი“ და, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედება და ცხოვრება. მისი უნმინდესობაც, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ხშირად გვიმეორებს იგავურად მშობლების შეგონებას: „არ შეიჩვიოთ სიღარიბეს!“ (ცხადია, შეჩვევის ზოგად შინაარსს უსვამს ხაზს).

დიახ, წინაპარი არ იყო ისეთი, „ჭკვიანის“ ანდაზა რომ გვიქადაგებს. წინაპარი რომ შემგუებელი ყოფილიყო, არ იარსებებდა უნიკალური ქართული დამწერლობა (სხვათა და სხვათა მსგავსად სხვათა მონაპოვრითაც გავიდოდა ფონს), არ გამოსახავდა ტაძრებსა და ფრესკებზე ულამაზეს ასომთავრულს (ბერძნულისა თუ ლათინურის პრიორიტეტს აღიარებდა), არ იარსებებდა ქართული მრავალხმიანი საგალობელი (ერთხმიანობას სხვაზე ნაკლებ არ იზამდა), არ იარსებებდა ქართული ქრისტიანული არქიტექტურა, არ შეიქმნებოდა „ვეფხისტყაოსანი“, არ იმრავლებდა (ჯიშებად) ქართული ვენახი და ქართული პურეული, არ შექმნიდნენ ხელოვნების სასწაულებს ქვაზე და ხეზე კვეთის ოსტატი ვაუები და ქსოვისა და ქარგვის ვირტუოზი მანდილოსნები...

ეს ჩვენ გავხდით შემგუებლები, ჩვენ შეგვაჩვია ისტორიამ, უკრიტიკოდ მივიღოთ არა მხოლოდ ის, რისი შეცვლის ძალაც არ შეგვწევს, არამედ ისიც, რასაც არცთუ დიდი გარჯა და გულისხმიერება სჭირდება. ესეც ჩვენი სპარსეთუმეობიდან და რუსეთუმეობიდან მოდის, იქ არის ფესვი ჩვენი

სურათები უკომენტაროდ და კომენტარები უიმათსურათებოდ, ვისაც ეს ეკუთვნის



იმ თვისებისა, რომ ვეღარ ვამჩნევთ ჩვენ გარშემო არსებულ, ჩვენგანვე შექმნილ უწესრიგობას, მტვერსა და სიბინძურეს ქუჩებსა და სადარბაზოებში, გარაჟ-ხუხულებითა და ფანჩატურებით ჩახერგილი კორპუსების ეზოებს, ბავშვების სათამაშოდ განკუთვნილ სივრცეებს...

ასე შევგუებივართ ჩვენი დედაქალაქის იმ იერსახესაც, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მის **გარეგან ენობრივ გაფორმებას ეკუთვნის** და რომლის გამოც უთუოდ უთქვამს ერთ უცხოელ ჟურნალისტს: ულამაზესი ანგანი აქვთ ქართველებს, მაგრამ რატომღაც უცხოურ წარწერებს ამჯობინებენო.

თითქმის ვერ ნახავთ უცხოეთში მყოფ ქართველს, რომელიც გულისტკივილით არ აღნიშნავდეს ჩვენი დედაქალაქის ენობრივ მდგომარეობას სხვა რაგინდარა ქალაქთან შედარებით. უკრაინის მასშტაბური ომის ფონზე დაბრუნდა სამშობლოში ათწლეულების განმავლობაში უკრაინაში მოღვაწე გამოჩენილი მწერალი რაულ ჩილაჩავა და ერთ-ერთ უმთავრეს შთაბეჭდილებად აღნიშნა: „**გამაოგნა აბრების სიჭრელემ, რომლებზეც მთავარი, მგონი, ინგლისური წარწერებია, რომლებსაც თარგმანის ნაცვლად ქართული ტრანსკრიპცია ახლავს,** ანუ ინგლისურის არმცოდნე მაინც ვერაფერს გაიგებს, რადგან ქართული ასოებით იგივე ინგლისური სიტყვები წერია“ („ლიტ. საქ.“, 15.04.22).

ნებისმიერ ჩვენგანსაც განა იგივე განცდა არ გაგვჩენია უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მალევე შემგუებელთა რიგებში გადაგვინაცვლებია. ნუთუ იმდენად დავკარგეთ სიფხიზლე, რომ სხვისი მაგალითი თუ გარედან შეძახილიც აღარ გვესმის?! ამ ვითარებაში, ცხადია, „ხმად მღაღადებლისა“ რჩება აქა-იქ ჩვენი სპეციალისტების, ენის სიწმინდის „განიარაღებულ“ დამცველთა სასოწარკვეთილი შეძახილი, რომელიც ყოველი უწყებიდან, ყოველი კუთხიდან ერთ ექოდ ბრუნდება:

„ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის!“

მათგან შემოთავაზებულ ამ ფორმულას თუ გავაშინაარსებთ, „ძაღლად ჩაგდებული“, უფრო სწორად, ძაღლადაც არჩაგდებული ჩვენი მეცნიერებაა, ხოლო ქარავანი იმ საჯარო მოხელეთა არმიაა, რომელიც თავისი მდგომარეობით, ინსტრუქციებითა და სტრუქტურებით შემგუებლობის თანამედროვე წყობილებას ემსახურება. ამავე ქარავნის ნაწილია მოსამსახურეთა ის ჯგუფიც, რომელიც ენობრივი მამულის მოსავლელად არის დანიშნული (ხალხისგან დაქირავებული), მაგრამ, რაკი სადაგი დრო და ამინდი უპოვია, ისიც არხეინ ყოფას მისცემია – „ტალახში წევს და იცოხნის...“

აბა, უფრო რბილად როგორ უნდა ითქვას, როდესაც საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტს სახელმწიფო ენისთვის დღის წესრიგში ადგილიც ვერ უნახავს, ხოლო მისგან წახალისებული სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მთავარ დაბრკოლებად ქცეულა სახელმწიფო ენის ორგანული კანონის მოთხოვნათა აღსრულების გზაზე. დაინტერესებული საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მთავრობის მეთაურს ნამდვილად შესტკივა გული სახელმწიფო ენისათვის, მაგრამ რა ქნას ერთმა გულიანმა წინამძღოლმა, თუ ქვეყანაში უგულო და გულშავი ყორღანაშვილების შემოსევაა, ხოლო ადგილებზე „შემსრულებლები“ უტიფრად ქმნიან მგზნებარე საქმიანობის იმიტაციას, სინამდვილეში კი ქარიყლაპიასავით ნთქავენ უძვირფასეს დროსა და შესაძლებლობებს...

დღეს, როდესაც ქვეყანა ევროინტეგრაციის კიდევ ერთი საფეხურის დაძლევას ცდილობს და ამ პროცესმა კიდევ ერთხელ ლაკმუსივით გაამჟღავნა მტერიც და მოყვარეც, ავად დარაზმული ოპოზიცია სურვილს აღარ მალავს:

– საქართველო არ იმსახურებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას!

ხელისუფლება სამართლიანად სვამს კითხვას:

– კიდევ რა უნდა გაეკეთებინა ჩვენს ქვეყანას, რომ მას მეტი აღიარება მიეღო?

მოდით, ამ კონტექსტის გამოყენებით ღიად ვთქვათ ის, თუ რა უნდა გააკეთოს განსაკუთრებით ხელისუფლებამ, რათა, ერთი მხრივ, ქართველთმოძულე და ყოველივე ქართულის მოწინააღმდეგე ე.წ. ოპოზიციას „გულთა ჰგმიროს“, ხოლო მეორე მხრივ – ნამდვილ ევროპასთან დაახლოების აუცილებელი პირობები შექმნას:

- ფორმით ევროპული და შინაარსით ეროვნული განათლების განვითარება...
- ეროვნული კულტურის უპიროვნო გამოსარჩლება...
- „რეფორმის“ სახელით ჩაწიხლული მეცნიერების, განსაკუთრებით ქართველოლოგიის გადარჩენა...
- რაც მთავარია, სახელმწიფო ენის სრულფასოვანი განვითარების უზრუნველყოფა...

ეს უკანასკნელი ამოცანა კი მევრად მეტია, ვიდრე აქ მოყვანილი უკომენტარო ფოტოსურათები ასახავს, რადგან, ისტორიის ლოგიკით:

ვინც საკუთარს ვერ აფასებს, ნურც სხვისგან ელის დაფასებას.

ხალხი და ქვეყანა, რომელიც ეროვნული ენის დაცვას ვერ შეძლებს, სახელმწიფოებრიობას ვერ შეინარჩუნებს. თანამედროვე მსოფლიოში ეროვნული იდენტობისა და თავისთავადობის „ფრონტის ხაზი“ უპირველესად (და უპირობოდ) სახელმწიფო ენის „სიმაგრეებზე“ გადის და ეს განსაკუთრებით ნათლად დაგვანახა უკანასკნელი დროის დრამატულმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა.

ავთანდილ არაბული,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

◎ უმაღლესი განათლების ახალი სტრატეგია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია უკრაინაში

(პირველი გვერდიდან) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური წრის უკრაინაში ვიზიტი უკავშირდება საქართველოს მთავრობის მეთაურისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უკრაინელი ხალხის მიმართ მაქსიმალური მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატვის თაოსნობას. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის განცხადებით, უკრაინაში სტუ-ის დელეგაცია შეხვდა უკრაინის განათლების მინისტრს, უკრაინაში აკრედიტებული რამდენიმე უნივერსიტეტის რექტორსა და მეცნიერებს. მხარეებმა განიხილეს უნივერსიტეტებს შორის სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივა და დასახეს გეგმა.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციის უკრაინაში ვიზიტი იყო კიდევ ერთი, ერთგვარი მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ, საქართველოს კულტურის პალატასთან ერთად, ომის დაწყების პირველივე დღიდან გამოვხატავთ. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, უკრაინაში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ სასწავლო პროცესი არ ჩავარდეს და სტუდენტებისთვის შესაფერისი გარემო იქნას შენარჩუნებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს უკრაინელი ერის სიმამაცეზე. აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადავუხდი მადლობას უკრაინის ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტის რექტორს და სამეცნიერო საბჭოს, ჯერ კიდევ 2021 წლის ივნისში, ჩემთვის საპატიო დოქტორის ხარისხის მონიჭებისათვის. კოლეგებმა ისარგებლეს შემთხვევით და ვიზიტის ფარგლებში უკვე ოფიციალურად გადმომცეს საპატიო დოქტორის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კიდევ ერთხელ მადლობა მათ. ეს ძალიან დიდი პატივია. ეს არის ერთგვარი აღიარება ჩვენსა და უკრაინელ კოლეგებს შორის არსებული სამეცნიერო კავშირების, იმ მეგობრობის, რაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და უკრაინის არაერთ უნივერსიტეტს აკავშირებს“, — განაცხადა სტუ-ის რექტორმა დავით გურგენიძემ.

უკრაინის განათლების მინისტრმა სერგეი შკარლოტმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს მადლობა გადაუხადა იმ მხარდაჭერისთვის, რასაც უნივერსიტეტი გამოხატავს საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მიმართ. „ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, ჩვენს მეგობართან, პროფესორ დავით გურგენიძესთან. ჩამოვაყალიბეთ უკრაინაში უმაღლესი განათლების ახალი სტრატეგია. ჩვენი თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯი იქნება უკრაინასა და საქართველოში აკრედიტებული უნივერსიტეტების წარმომადგენლების დიდი შეხვედრა. იმედი მაქვს, რომ ომის პირობებში უკრაინა ძლიერი პარტნიორების დახმარებით უფრო ძლიერი იქნება“, — განაცხადა სერგეი შკარლოტმა.

ინფორმაციისთვის:

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს კულტურის პალატასთან თანამშრომლობის ფარგლებში, ერთ-ერთმა პირველმა გააგზავნა უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარება. ჰუმანიტარული ტვირთის ადრესატი ივანო-ფრანკოვსკში მდებარე ვ. სტეფანიკის სახელობის კარპატისპირა ეროვნული უნივერსიტეტია, რომელთანაც ტექნიკურ უნივერსიტეტს მრავალწლიანი სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობა აკავშირებს. სტუ-მ და საქართველოს კულტურის პალატამ, ლეგენდარული სუხიშვილების ანსამბლის ჩართულობით, ერთობლივი საქველმოქმედო კონცერტი გამართეს. ასევე, სტუ-ის სტუდენტთა სახალხო თეატრ-სტუდიამ „მოდინახემ“ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საქველმოქმედო სპექტაკლების ციკლი ჩაატარა.

იყავით თამამნი, თავისუფალნი, მაგრამ... ნუ იქნებით თავხედნი და უზრდელნი!

პატივს ვცემთ თითოეული სტუდენტის გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა პროტესტის ძალადობრივი ფორმა დაუშვებელია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10 ივნისს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება. როგორც უწყებაში აცხადებენ, სამინისტროსთვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობრივი ქმედება და შესაბამისად, გმობს პროტესტის გამოხატვის იმ ძალადობრივ ფორმებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 10 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„სამინისტრო პატივს სცემს თითოეული სტუდენტის გამოხატვის თავისუფლებას, თუმცა პროტესტის ძალადობრივი ფორმა დაუშვებელია. იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა გამოწვევის დაძლევა აკადემიური სასწავლო სივრცისა და საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის შესაბამის ფორმატში მოხდება“, — აცხადებენ უწყებაში. 10 ივნისს თსუ-ში განვითარებული მოვლენების შედეგად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები დაშავდნენ. კერძოდ, 4 თანამშრომელი კლინიკაში გადაიყვანეს.

თსუ-ს პროფესორები გმობენ ძალადობას!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 10 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პროფესორებმა განცხადება გააკეთეს.

ისინი გმობენ ძალადობას და ამბობენ, რომ მზად არიან სტუდენტებთან ნებისმიერ საკითხზე ინდივიდუალურად იმუშაონ.

„ჩვენ პატივს ვცემთ განსხვავებულ მოსაზრებებს, სად, თუ არა უნივერსიტეტში, მნიშვნელოვანია აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მხრიდან. სწორედ ამ თავისუფლებას ვასწავლიდით და ვასწავლით სხვადასხვა თაობის სტუდენტებს, ამიტომ განვითარებული მოვლენები არის კატეგორიულად მიუღებელი, შეუსაბამო აკადემიური-სასწავლო სივრცისა და საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის. უნივერსიტეტში მხარეები არ არსებობს, სტუდენტებსა თუ პროფესურას გვაქვს ერთი საერთო ამოცანა — შევინარჩუნოთ სწავლა-სწავლების ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე ვგმობთ და ვემიჯნებით ძალადობას, არაკონსტრუქციულ პროტესტს, რომლის შედეგად დაშავდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები, მათ შორის პროფესორი, ჩვენი კოლეგა, მეცნიერი. მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ასევე, სამართალდამცავი უწყებების მიერ.

მოვუწოდებთ სტუდენტებს: პროტესტის შემთხვევაში საკუთარი აზრი გამოხატონ კონსტრუქციულად. გაითვალისწინონ, რომ საპროტესტო მოვლენების მიმდინარეობისას, ზოგადად პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ ადმინისტრაციულ უწყებას, არამედ აქციის მონაწილეებსაც აქვთ, რათა დაიცვან სხვათა უფლებები, არ გასცდნენ მორალურ და სამართლებრივ ჩარჩოებს! იმ სტუდენტების მცირე ჯგუფს, რომლებიც ჯერ სწავლის განახლებას, შემდეგ კი გამოცდების ფორმატს აპროტესტებენ, 20-ზე მეტი შეხვედრა ჰქონდათ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მათ შორის 2 შეხვედრა რექტორთან. ასევე, ჰქონდათ კონსულტაციების შესაძლებლობა აკადემიურ პერსონალთან. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, მოვლენები განვითარდა არა დიალოგისა და შეთანხმების, არამედ ძალადობის რეჟიმში, რომელსაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ვერ მიიღებს და ვერ შეეგუება უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოება“, — განაცხადეს პროფესორებმა.

„ძალიან თავ-ხელმარტო ადამიანისთვის ჩქამიც შეიძლება რომ ნუგეშად იქცეს“,



– ეკო ოცყოდ ფჩიდჩიბ ნიკეშ

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

ადამიანი

ადამიანის ხასიათი დამოკიდებული არ არის შეხედულებათა ცვლაზე, თუმცა ცვლა შველის, რომ ნათელი გაუხადოს იმ ადამიანს თავისი ხასიათის ცალკეული მხარეები, რაიც ფარული და ძნელად საცნობო ხდება სხვაგვარი მსჯელობისას.

* * *

ადამიანში ყოვლის უფრო მოწყვლადი, ოღონდ თანაც დაუძლეველი პატივმოყვარეობაა, რასაც იარათაგან ძალა ეზრდება, იმ ძალამ კი შეიძლება, რომ უზარმაზარ ზომას მიაღწიოს.

* * *

თავისი ცუდმედიდობის უარმყოფელი ადამიანი ჩვეულებრივ ისეთი უხეში ფორმით ფლობს ამ თვისებას, რომ ინსტინქტურად თვალს უხუჭავს, არ იმჩნევს, რათა საკუთარი თავი არ შეზიზღდეს.

* * *

შურს კვერცხდადებულ ქათამსავით კრიახი უყვარს. თუმცაღა კიდევ უფრორე საშინელი შურიც არსებობს, სამარისებურ დუმილს რომ იცავს და უნდა, რომ სუყოველი პირი მოკუმული იყვეს, თანაც, რაკი ამას ვერ აღწევს, სულ უფრორე მძვინვარე ხდება.

* * *

სუყოველივე ადამიანურის განვითარება მიიღწევა ოდენ მომქანცველი გარჯით და ბედნიერ შემთხვევათა წყალობით.

* * *

უკეთუ ვერ მიმხვდარხარ, რას წარმოადგენენ შენ გარშემო მყოფი ადამიანები – მომხრენი არიან თუ მოწინააღმდეგენი, უნდა განარისხო და უმალ მიხვდები, რა განზრახვა აქვთ შენს წინააღმდეგ და რას ფიქრობენ შენზე.

* * *

კაცობრიობა, ამ ჟამიდან მოკიდებული, რასაც მოინდომებს, იმას უზამს თავის თავს.

* * *

ადამიანი ოდენ სიცოცხლის ბოლოს იგებს იმას, რის უცოდნელობასაც აგრერიგად ბევრი გულისტკივილი მოაქვს ახალგაზრდობაში.

* * *

ვისაც შეგნებული არა აქვს, რომ მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისთვის დიდ ადამიანს არა ოდენ მხარს უჭერდეს, არამედ იმასთან ერთად იბრძოდეს კიდეც, ის თავად ან დიდი ბავშვია... ანდა დიდი კაცი.

* * *

გონებრივ მოძრაობას ჩვენ ვებრძვით როგორც იმ შემთხვევაში, როცა იმაზე მაღლა ვდგავართ და ვიწონებთ იმის მიზნებს, ისე მაშინ, როცა მიზანი ესე ნამეტანი მაღალია და იმის დაბლა ვდგავართ.

* * *

თავის გონებრივ სიფხიზლეში დარწმუნებულ ადამიანს შეუძლია არცთუ უსარგებლოდ ათიოდე წელიწადი ცხოვრება ფანტაზიორთა წრეში და ამ ფიცხ გარემოცვაში შეშლილობის მცირე დოზით დასნებოვნება.

* * *

აუცილებელია ხუთნაირ მოგზაურთა ერთმანეთისგან გარჩევა: პირველნი ისინი არიან, ვინც თავის გამოსაჩენად მოგზაურობს; მეორენი ნამდვილად ათვალიერებენ ქვეყნიერებას; მესამენი რაღაც-რაღაცას ითვისებენ ნახულისას; მეოთხენი განცდილ არაერთ შეგრძნებას სულში იტოვებენ და შინ თან მიაქვთ; დაბოლოს, არიან დიადი სულის ადამიანები, ყოველსავე რომ განიცდიან, ღრმად ითვისებენ და შინ დაბრუნებულნი ამ განცდილს საქციელით ან ნაწარმოებებით გამოხატავენ. ამ ხუთნაირ მოგზაურთა. მსგავსად გადის თავის ცხოვრების გზას სუყოველი ადამიანი: ყოვლის უფრორე სულმდაბალნი ცუდაობით, ყოვლის უფრორე დიდნი – როგორც რომ აქტიურნი, მთელ თავიანთ შინაგან პროცესებს უზადოდ განიცდიან.

* * *

როს მავანი ცალკეული პიროვნების მხრიდან თავისი გარეგნობით კმაყოფილება აშკარაა, ეს იწვევს ბაძვას და ქმნის შაბლონურ გარეგნობას ბევრისთვის. აგრე წარმოიქმნება მოდა.

* * *

არცვის ადამიანთაგან უფლება არა აქვს, რომ თავის თავს თავისუფალი უწოდოს, უკეთუ საშუალება არ გააჩნია და რიგიანად ვერ ემეოხება იმ ადამიანთ, რომელთა მიმართაც სიტყვა ესე გამოიყენება ვითარცა სალანძღავი და, ამ თვალსაზრისით, იკისროს საზოგადოებრივი განკითხვისა და გაკიცხვის ნაწილი.

* * *

ოდენ გამონაკლისის სახით გვხვდებოდნენ საბერძნეთში დარბაისელნი და ჭკუადამჯდარნი კაცნი; თუმცა ხალხის ინსტინქტი მიდრეკილია, რომ სუყოველი სიდარბაისლე და ჭკუადამჯდარობა პრანჭვაგრეხად მიიჩნიოს.

* * *

გერძენთა საქმე შესაქმე კი არა, უფრო ფორმათა გადმოღება და ამ ფორმათა გამხატვრულება იყო. ბაძვით არა პრაქტიკული გულისთვის, არამედ, მხატვრული სიცრუისთვის ბაძავდნენ.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №70

როს მავანი ადამიანი ხანგრძლივ და საქმიან ცხოვრებაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, პირადად როცა ვეცნობით, გული გვიტყდება რამდენიმე მიზეზისა გამო: ჯერ ერთი, ბევრის ვარაუდს ვიჭერთ დროის მოკლე შუალედისგან, მეორეც, ყოველთაგან აღიარებული ადამიანი არ ცდილობს სუყველასგან ცალ-ცალკე აღიარების მიღწევას. ის ნამეტანი დაუდევარია, ჩვენ კი ნამეტანი ყურადღებიანი ვართ.

* * *

როგორც ადამიანი იმათზე მაღლა აიწევს, ვისაც ის აოცებდა, ეს უკანასკნელნი იფიქრებენ, რომ ის დაეშვა და დაეცა: რაკი ისინი სულ მუდამ იმას ფიქრობდნენ, რომ იმასთან ერთად ერთ სიმაღლეზე იყვნენ.

* * *

როს ერთი ადამიანი მეორეს საზოგადოებაში თავისი ცოდნის, გრძნობებისა და გამოცდილების გვარიანად გადაცემის საშუალებას აძლევს, ის ამით თითქოს უფრორე ამაღლებულ საფეხურზე იყენებს თავს და იერიში მიაქვს ცუდმედიდობაზე და ის კი არა, იმის დათრგუნვაც სურს.

* * *

ღრმააზრიანი ადამიანები თავს მსახიობებად გრძნობენ გარშემომყოფ ადამიანებთან ერთად, რამეთუ იმისთვის, რათა გაგებულნი იყვნენ ამ უკანასკნელთაგან, სახეზე ზედაპირულობის ნიღბის აფარება უხდებათ.

* * *

სუყოველი ადამიანის მიმართ ერთნაირად კეთილგანწყობილად მოქცევა, თითოეულთან განურჩევლად კეთილმოსურნედ ყოფნა შეუძლია როგორც იმას, ვისაც დასანახავად სძულს ადამიანები, ისე იმას, ვისაც ისინი გულზე ახატია.

* * *

იმ ადამიანებთან, ვინც უბოდიშოდ ექცევა ყოველსავე პირადულს, უმჯობესია, რომ არცრა საქმე არ დაიჭიროთ ანდა წინასწარ დაადოთ იმათ ზრდილობის ბორკილები.

* * *

ადამიანი ფიქრობს, ზღაპრები და თამაშობანი ბავშვებს ეკუთვნითო: ნამდვილი სიბეცეა! ისე გამოდის, თითქოს რაგინდარა სხვა ასაკში უზღაპრებოდ და უთამაშებოდ შეგვიძლია იოლად გასვლა! დაე, სიცოცხლის ხანმოკლეობა გაფრთხილება იყვეს ასაკთა შაბლონური გამიჯვნის წინააღმდეგ – თითოეულს თავისი სიახლე მოაქვს – და დაე, რომელიმე პოეტმა გამოიყვანოს ორასწლოვანი ბერიკაცი, რომელიც ნამდვილად უთამაშებებოდ და უზღაპრებოდ ცხოვრობს.

* * *

ის ადამიანები, ვინც ჩინებულად ფლობს მლიქვნელური და ლაქუცური მზერის თამაშს, დამცირების ხშირი გრძნობისა და ფარული შურისგების შედეგად თავხედურ გამოხედვასაც არ იკლებენ.

* * *

„მთელი ცხოვრება ბავშვივით იქცევა“ – ამაღელვებელი აზრია, ოღონდ შორიდან; თუ ახლო განვიხილავთ, ყოველთვის იტყვი: „მთელი ცხოვრება პატარა ბიჭუკელა იყო“.

* * *

აგზარი ადამიანი, როგორც წესი, ჩვენს პირობით მონეტაში ოქროს მონეტას იხდის და ამით გვაიძულებს, რომ ჩვენს სუყოველ პირობითობას ისე მოვექცეთ, როგორც შეცდომას, იმას როგორც გამონაკლისს.

* * *

გარშემომყოფნი ხშირად ურევენ ერთმანეთში მღვრიე წყალში თევზის დამჭერსა და სიღრმიდან მხაპველს.

* * *

გულის მხურვალებას ჩვეულებრივ თან ახლავს გონებისა და განსჯის სნება. უკეთუ ადამიანს უნდა, რომ დროებით თავი დააღწიოს ამ სნებას, უნდა გაგრილდეს და თავისი გული მომავლისა გამო შიში ნუ შეიპყრობს! ვისაც საერთოდ ძალუძს აალება, ის კვლავ გაცხელდება, და თანაც კვლავ დაუბრუნდება თავისი მხურვალება.

* * *

ვისაც ადრეულ ასაკში აქვს დამსახურება, ის ჩვეულებრივ მოკლებულია მოკრძალებას ხნიერთა და უფროსთა მიმართ და ამით, ფრიად და ფრიად თავის არახელსაყრელად თავს გამოირიცხავს მოწიფულ და მოწიფულობაში ხელშემწყობ ადამიანთა საზოგადოებიდან: ამა მიზეზით ესეგვარი ადამიანი, ადრეულ დამსახურებათა მიუხედავად, სხვებზე დიდხანს რჩება ბიჭურად მოუწიფავი და აბეზარი.

* * *

ბავშვში სისუფთავის გრძნობა უნდა დავიყვანოთ ვნების ხარისხამდე. მოგვიანებით გრძნობა ესე, ახალ ფერისცვალებათა გზით, განვითარდება რაგინდარა სათნოების ხარისხამდე და მოგვევლინება რაგინდარა ნიჭის შემცველად, ამასთანავე იგი ნათელი წყაროა უმწიკვლობის, ზომიერების, სიკეთისა და ხასიათის სიძლიერისა და იქცევა რა ბედნიერებად, ვრცელდება სუყოველ გარშემომყოფზე.

* * *

ღრმაააზრიანობა სიყმაწვილის დამახასიათებელია, აზრის სიცხადე სიმწერეს ახასიათებს. უკეთუ, ამისდა მიუხედავად, მოხუცნი ღრმაააზრიანობისდა სულისკვეთებით ლაპარაკობენ და წერენ, ამას იქმან ცუდმედიდობისა გამო, და ფიქრობენ, რომ ეზიარებიან სიყმაწვილის დროინდელ საოცნებო ხიბლს, აღვსილს წინათგრძნობითა და იმედებით.

* * *

ნინველისთვის გაუგებარია, რომ ზრდილი ადამიანებიც განიცდიდნენ ჟამსა აღტაცებისას, გრძნობითა გაღვიძებისას, აზრისა და გონებრივი გამოფხიზლებისას, ის კი არა, იქნება იწყინოს კიდეც ის აზრი, რომ ყოველივე ეს ერთ დროს თურმე მართლა იყო და მტრულად განეწყობა ხოლმე, უკეთუ ესმის, რომ იმისთვის, რათა ნაყოფიერი გახდეს, იმასაც ეს წყალი უნდა გადაესხას.

* * *

მუდმივად წარმატებულ ადამიანთ თავიანთი შეცდომები და სისუსტენი იმ მცირე რამ ძალად წარმოუდგენიათ, თუ რისთვის უნდა შეიცნონ ისინი უჩვეულოდ კარგად.

* * *

ადამიანთა ძირითადი მასა არარაობაა და არცრა ღირს, ვიდრე არ ამოეფარება გავრცელებულ მრწამს რასმე და საზოგადოებრივ აზრს, თერძთა ფილოსოფიისდა თანახმად: „სამოსელი აჩენს ადამიანს“. თუმცა არიან განსაკუთრებული ადამიანები, რომელთა შესახებაც შეიძლება თქმა: „მხოლოდ ჩაცმული აჩენს სამოსელს“. აქ აზრები უკვე საერთო აზრები აღარ არიან და რაღაც უფრო მეტია, ვიდრე ზეთის საღებავი, კოსმეტიკა და სამოსლის გამოცვლა.

* * *

ნაკლებადასაჯერებელია ფეხის მოტეხა ცხოვრების ძნელი აღმასვლის გზაზე – ეს ძირითადად მაშინ ემართება ადამიანს, ოდეს იგი ამა სიძნელის შემსუბუქებას იწყებს და ბევრად უფრორე მოსახერხებელ გზათა ძიებაშია.

* * *

უკეთუ შესაძლებელი იქნებოდა უკმაყოფილო, ნაღვლიან და პირქუშ ადამიანთა გამრავლებისთვის ხელის შეშლა, დედამიწა მაშინ, ვითარცა ჯადოსნობით, სამოთხის ბაღად გადაიქცეოდა. დებულება ესე მდედრთა სქესის პრაქტიკულ ფილოსოფიას ეხება.

* * *

შენი არსებობის აგება-აშენება შეზღუდულ მოთხოვნილებათა ვიწრო საძირკველზე ნამეტანი სახიფათოა, რამეთუ უარს ამბობ რა საზოგადოებრივი მდგომარეობით, პატივდებით, მეგობრული კავშირებით, სიამოვნება-ტკბობით, კომფორტით, ხელოვნებით გაჩენილ არაერთ სიხარულზე. ვაითუ აღმოჩნდე არა სიბრძნის, არამედ ცხოვრების მიმართ ზიზღის მეზობლად.

* * *

აუტანელნი არიან ის ადამიანები, რომელთაც ვერცრა კარგს ვერ უპოვნი, ფლობენ რა თავისუფალ აზრს, ისინი ვერ ამჩნევენ, რომ გემოვნებისა და სულის თავისუფლება დაკარგეს.

* * *

თანამოაზრენი არცროდის არ აპატიებენ ადამიანს, უკეთუ ის თავისი თავის წინააღმდეგ წავა; იმათ თვალში ეს ნიშნავს არა მარტო იმათი სიყვარულის უარყოფას, არამედ იმათი გონების გაბიაბრუებასაც.

* * *

ცნობილი ადამიანი თანდათან იგებს, რომ თავისი მოქმედება ადამიანთა თავებში აჩრდილად აქცევს. ესეგვარი ადამიანი მწვავე სულიერ ტანჯვას განიცდის, როს თავის თავს ეკითხება სხვათა კეთილდღეობის გულისთვის ხომ არ უნდა შეინარჩუნოს თვისი აჩრდილობა.

(გაგრძელება იქნება)

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის, საქართველოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის უზომო ლტოლვამ, ყველა სულიერ-მორალური ზღვარი გადალახა და კახელებისა არ იყოს – დაუკრეფავში გადავიდა.

დიდი ხანია, ქართველ საზოგადოებას, უფრო ზუსტად მის ელიტარულ ნაწილს – მწერლების, ხელოვნების მუშაკების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ესოდენ მასშტაბური აღმაფრენა არ გამოუვლენია.

საზოგადოების მეორე ნაწილი, გაცილებით მრავალრიცხოვანი, ინდიფერენტულად უყურებს პირველი ნაწილის როკვას – ნეტავი თქვან, მოცლილებოო!..

ევროპამ „ზემოდან“ მაშინ უნდა დაგვხედოს, თუ ჩვენი ფეხზე წამოყენება უნდა!..

მეორე ნაწილი საზოგადოებისა, პრაქტიკული აზროვნების მატარებელია – დღევანდელი კვერცხის მოსურნე. მან იცის, რომ ხვალინდელი ქათამი – აბსტრაქციაა, დღევანდელი კვერცხი – რეალობა, თუმცა რა ფასად, სხვა საკითხია, ერთობ რთული დასადგენი, დაკავშირებული ეკონომიკასთან, სოციალურ ყოფასთან, ფასების მომატებასთან, ცხოვრების დონის დაწევასთან, სხვა ისეთ მომენტებთან, რომელთა ახსნა, მითუმეტეს გაგება მათაც უჭირთ, ვისაც ქვეყნის მართვის სადავეები ჩააბარეს.

საზოგადოების მეორე ნაწილი ვერასდროს გაუგებს პირველს, ისე, როგორც პირველი, მეორეს, თუმცა პირველს ეს ხელს არ უშლის ხმამაღლა განაცხადოს საზოგადოების ორივე ნაწილის სახელით – ხალხის სურვილიაო.

მაინც რას იჩემებს საზოგადოების ე.წ. ელიტარული ნაწილი – ხალხის სურვილიაო, რომ აცხადებს? ევროკავშირში შესვლას – გიპასუხებს უცებ!

ვინ გითხრათ – ხალხს სურს ევროკავშირში შესვლაო, რომ ჰკითხოთ პირველ ნაწილს, დაუფიქრებლად გეტყვით – ვკითხეთ და დავრწმუნდით, რომ უნდაო.

„პინგ-პონგის“ მსგავსი დიალოგის გაგრძელებას აზრი არ აქვს, ვინაიდან ვერც ერთი მხარე თავისას ვერ დაამტკიცებს, თუმცა მეორე მხარე მაინც მართალია, ვინაიდან მისთვის არავის უკითხავს – უნდა თუ არა ევროკავშირში შესვლა.

რაც ხალხს ჰკითხეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ის იყო – **უნდა თუ არა ნატოში შესვლა.** მაშინ ევროკავშირი არავის ჩაუწერია საარჩევნო ბიულეტენში. რაც ჩაწერეს (ნატო), იმაზე თანხმობა მიიღეს. თუმცა ხალხის ნაწილი თვლის, რომ 2008 წლის თანხმობა ყალბი იყო!

ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით საქართველოში რეფერენდუმი არ ჩატარებულა, არც პლებისციტი, მაშ საიდან მოიტანა საზოგადოების პირველმა ნაწილმა – ხალხს უნდაო?

პოლიტელიტას უნდა და მისი სურვილი რომ მტკიცე იყოს, ხალხს აბრალებს. თუ რატომ უნდა პოლიტელიტას – სხვა საკითხია. მაინც? მაინც ის, რომ მისთვის, ისე, როგორც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ამბიციურ-მეტიჩრული პრესტიჟის საქმეა ევროკავშირის წევრობა.

ევროკავშირის წევრი საქართველოს „ელიტარული“ შვილები თავაწეული, ქედმაღლური, თან ბრიყვული გამომეტყველებით ივლიან მსოფლიოში. მათთვის მიუღებელია კოელიოს ფილოსოფია – **ადამიანს ზემოდან მაშინ უნდა დახედო, როდესაც მისი წამოყენება გინდა.**

ხელისუფალთ ერთი სული აქვთ ევროკაშირში შესვლისა, ვინაიდან დაოთხილი ირბენენ ბრიუსელში და ნაცვლად საქმის შინ კეთებისა, იქ ღაქლაქსა და შოპინგში დახარჯავენ დროს, რაც საქმის კეთებაზე გაცილებით იოლია.

რა სჯობს იმას, იყო ევროკავშირის ქოლგის ქვეშ „წამოწოლილი“ და ბრიუსელი აკეთებდეს შენს საქმეს?

კარგა ხანია გვარწმუნებნენ, რომ საქართველო ევროპაა, რომლის გარეშე მისი არსებობა შეუძლებელია. კანდიდატობის სტატუსგარეშე დარჩენილი, შეწყვეტს არსებობას.

იქნებ, პირიქით? ევროკავშირომანია ისეა გამჯდარი ქართულ ცხოვრებაში, ამ კითხვის დასმაც დანაშაულია.

ევრომანია მანამ გაგრძელდება, ვიდრე ბრიუსელი შეგვატყობინებს – საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭება-არმინიჭებას.

და თუ არ მოგვანიჭა, ეგზალტირებული, ფანატიზმამდე მისული საზოგადოება ჰარაკირს გაიკეთებს? მუცელს არვინ გამოიფატრავს, მაგრამ ბრიუსელს რომ ლანძღვა-გინებით აავსებს, ეჭვი არ მეპარება.

დღეს ეს ხალხი მიტინგს აწყობს – ევროკავშირის დროშაზე ხელმოწერით.

გაოცებს ქართველთა ზედაპირულობა, აბსტრაქტული აზროვნება (ყველას ეს არ ეხება, მაგრამ ვიღაცას ხომ ეხება?). გაოცებს იმიტომ, რომ მშიერ-მწყურვალი ქვეყანას უსერიოზულესი პრობლემები აქვს თითქმის ყველა სფეროში.

საზოგადოება არ აწყობს აქციებს გაძვირებულ საწვავზე, კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებზე, სამედიცინო თუ სხვა სახის მომსახურებაზე, კომუნალურ გადასახადებზე, სხვა მრავალზე, რომელიც ადამიანის არსებობას ეხება, მაგრამ აწყობს მიტინგს ევროკავშირში შესვლაზე.

ვეჭვობ, ამ „გულის-ამაჩუყებელ“ აქტს ევროკავშირელობა მოჰყვეს

ხალხს ვერ გაუგია, რომ ევროკავშირში შესვლა ჩაწყობით არ ხდება, არც დროშაზე ხელისმოწერით, მუშაობითაა საჭირო, არა ისეთი, როგორსაც ოპოზიცია ქადაგებს – ხელისუფლებამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში იაროს თხოვნით – მიგვიღეთო, არამედ შინ მუშაობით.

აი, აქ კი სერიოზულად მოვიკოჭლებთ. 30 წლის განმავლობაში რაც ვიცოდით, ისიც დავკარგეთ, რაც გვქონდა ფაბრიკა-ქარხნების სახით, ჯართად გავყიდეთ, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი საზღვარგარეთის ან ბაზრობის გამყიდველის გზას გავუყენეთ, სოფლები და ქალაქები დავაცარიელეთ, ყველას თბილისში მოვუყარეთ თავი.

სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობა 3,7 მილიონი ადამიანია, გაცილებით ნაკლები (5,5 მილიონი) დამოუკიდებლობის მიღებამდე. გლეხს სოფელი შევაძულეთ, მასაც უცხოეთში წასვლის სურვილი აღვუძარით. ფაქტობრივად, ქვეყანა სამრეწველო-აგრარულიდან, მომხმარებლურზე გადავიყვანეთ – მდარე ევროპული კვების პროდუქტების გადამმუშავებელ ქარხანად ვაქციეთ. საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთ ული პროდუქტის წარმოებით, ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ჩამოუვარდება, ისე, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს.

ვის უნდა ასეთი ქვეყანა? ევროკავშირს რომ არ უნდა, ფაქტია, მაგრამ ამის შესახებ პირდაპირ არ გვეუბნება – პოლიტიკური მოსაზრებით. მას უნდა, რომ საქართველო იყოს ევროკავშირის კარის ზღურბლთან – მუდმივ მოლოდინში.

მას არ უნდა, რომ საქართველომ კვლავ იქონიოს მჭიდრო ურთიერთობა რუსეთთან, ამიტომ კვებავს მას დაპირებებით.

ევროკავშირი საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის. ამ კავშირში ყველას შეაქვს საკუთარი წვლილი, რისთვისაც საჭიროა ყველა თვალსაზრისით იყო ისეთი, როგორიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებია.

ისეთი რომ იყო, ისთივე კანონმდებლობა უნდა გქონდეს, როგორც მათ; ისეთივე აზრისა უნდა იყო, როგორც ისინი; ლგბტ-ს წარმომადგენლებს კეტით არ უნდა დასდევდე და გეი-პარადების მოწყობას ხელს არ უნდა უშლიდე; ბრუსელიდან წამოსულ ყველა დირექტივას უყოყმანოდ უნდა ასრულებდე; უკრაინას ცალყბად კი არ უნდა უჭერდე მხარს, არამედ მთელი სიგრძე-სიგანით; რუსეთს უნდა ლანძღავდე და სანქციებსაც უნდა უწესებდე და სხვ.

ამ მოკლე ჩამონათვალიდან, რასაც ვასრულებთ – რუსეთის ლანძღვაა, ერთობ სასიამოვნო და მისაღები ბრიუსელისთვის, მაგრამ სხვაში მოვიკოჭლებთ.

ევროკავშირმა იცის, რომ ჩვენ მისი მოტყუება გვსურს, მაგრამ თავს არ იტყუებს. რა დაგვრჩენია? იმისთვის, რომ ევროკავშირში შეგვიშვან, ჩვენივე ხელით ჩვენივე ძვეყანა უნდა ავაშენოთ. აშენებულს და აყვავებულს თვით ბრიუსელი შეეხვეწება შესვლას.

ხშირად გვესმის ევროპული „ფასეულობების“ შესახებ, რომ ეს ისეთია, მთელი მსოფლიო რომ შეჰხარის. რას ნიშნავს ევროპული „ფასეულობები“ – ვერვინ აგვიხსნა, ვერც აქ და ვერც იქ. ფასეულობებში რა იგულისხმება? სიტყვები „ფასეულობები“ ან „ღირებულებები“ – ლიტერატურას, ხელოვნებას, კულტურას, ადამიანის უფლებების დაცვას, ტოლერანტობას, განვითარებულ მეცნიერებას და თუ რას გულისხმობს, პასუხი არ ჩანს!

დიახ! ევროპა ხელოვნების, მწერლობის, კულტურის, მუსიკის სამჭედლოა, მაგრამ არც ნაკლებია სხვაგან, სხვა კონტინენტებზე. ამ კარგთან ერთად, ევროპა ორი ომის აკვანია, ისე, როგორც ფაშიზმის, რომელმაც მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სიტყვის თავისუფლებაო – იტყვით. რა თავისუფლებაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის პარლამენტარი ლამის გაროზგეს რუსეთის მიმართ პოზიტიურის თქმისთვის.

ჰაინრიხ ჰაინე – „ხალხი, რომელიც წიგნებს წვავს, ადამიანებსაც დაწვავს“. დაწვა კიდეც – ფაშისტურმა გერმანიამ, ისე, როგორც უკრაინელმა ნეოფაშისტებმა ოდესაში.

ევროკავშირში ჯერჯერობით რუსი მწერლების შემოქმედებას არ წვავენ, მაგრამ კრძალავენ, ისე, როგორც მუსიკას, მხატვრობას, სპორტს. ევროკავშირი ურეაგიროდ შეხვდა უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას – ბიბლიოთეკებიდან დოსტოევსკის, პუშკინის, ტოლსტოის, გოგოლის, ჩეხოვის წიგნების ამოღებასთან დაკავშირებით – უკრაინელებს ტვინს უზიანებსო – საბაბით.

სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებული, მწვავე კამათი, როგორიც იყო რუსეთისთვის სანქციების მე-6 პაკეტის დაწესების დროს. ქვეყნები, რომლებიც რუსულ ნავთობზე არიან დამოკიდებული, წინააღმდეგნი წავიდნენ, რამაც აიძულა ბრიუსელი ნაცვლად ხისტი პოლიტიკური გადაწყვეტილებისა, მიეღო რბილი ეკონომიკური – პროტესტანტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ევროკავშირი, რახანია ეკონომიკური ორგანიზაციიდან, პოლიტიკურად გარდაიქმნა, ახლა კი სამხედრო ორგანიზაციობაზე აცხადებს პრეტენზიას. აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ გაჟღერდა ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარის ბორელის პირით.

ფაქტიურად, ევროკავშირი გახდა ნატოს დანამატი. და როდესაც ქართველი პოლიტიკოსები აცხადებენ, თუ რუსეთი ადრე წინააღმდეგი არ იყო უკრაინა-საქართველო-მოლდოვას ევროკავშირში შესვლის, დღეს წინააღმდეგიაო.

ამას კი ამბობენ, მაგრამ საზოგადოებას არ უხსნიან, რატომ არის რუსეთი წინააღმდეგი. მარტივი მიზეზის გამო – ისიც, ისეთი აგრესიული, მილიტარისტული პოლიტიკის გამტარებელია, როგორც ნატო.

ქართულ პოლიტიკას დიდი დაფიქრება მართებს ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. წინა წერილში დავწერე, რომ გეოგრაფიულ, მითუმეტეს პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში, სადაც საქართველოა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ევროკავშირელ საქართველოს გაუჭირდება მეზობლებთან ურთიერთობა, რომლებიც მას ევროატლანტიზმის აგენტად ჩათვლიან. მეზობლებთან ურთიერთობის გარეშე საქართველოს ძალიან გაუჭირდება.

ახლა გადავიდეთ მთავარზე – ევროკავშირის საქართველოსთან დამოკიდებულებაზე.

ევროკავშირის დამოკიდებულება ჩვენთან არ ნიშნავს მხოლობით რიცხვს, მრავლობითს ნიშნავს, ანუ უკრაინა-საქართველო-მოლდოვას. უკრაინა ომშია ჩართული. საქართველო და მოლდოვა ეკონომიკურად რუსეთზე არიან მიბმულნი, ვინაიდან არაფერს ელიან ევროკავშირიდან, გარდა დაპირებებისა.

სტრასბურგში გამართულ კონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა განაცხადა, რომ უკრაინის ევროკავშირში მიღებას მრავალი წელი დასჭირდება, შესაძლოა ათეული წლები, თუკი ბრიუსელი არ დაწევს ევროკავშირში მიღების არსებულ თამასას.

მაკრონმა მარტო უკრაინა ახსენა. რაშია საქმე?

მაკრონმა წამოაყენა წინადადება ალტერნატიული ევროპული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისა, რომელშიც შევლენ ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან ევროკავშირში.

გერმანიის კანცლერის შოლცის განცხადებით, ამ კავშირში შეიძლება შევიდნენ დიდი ბრიტანეთი და უკრაინა. ამ შემთხვევაშიც საქართველო-მოლდოვა გამორჩათ თუ გამოტოვეს?

ამერიკული ჟურნალის „პოლიტიკოს“ მიხედვით, ბრიუსელს პრეტენზიები აქვს საქართველო-მოლდოვასთან. ორივე იმყოფებიან კონფლიქტის ზონაში (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, დნესტრისპირეთი), რაც მიღების შემთხვევაში თავისთავად გადავა ევროკავშირზე.

ბრიუსელი უკმაყოფილოა საქართველოთი იმიტომ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე უარი თქვა, არ გახსნა მეორე ფრონტი.

აი, ასე ლაპარაკობენ საქართველოზე ევროპაში: „ღრმა პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყანა, რომელიც იწვევს ხელისუფლების მუშაობის პარალიზებას და მწვავე კრიტიკას ადრინდელი დემოკრატიული მიღწევებიდან უკან დახევის გამო“. იმასაც აცხადებენ, რომ შარლ მიშელის ძალისხმევა საქართველოს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა.

დისკუსია კიევის, თბილისის, კიშინიოვის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში ვერ განხორციელდება. ბრიუსელმა უნდა დაარწმუნოს ისინი, უარი თქვან „ევროპულ მოლოდინზე“...

და მაინც, რა იქნება ხვალ? – ვეჭვობ, ევროკავშირის დროშაზე ხელმოწერის აქტს ევროკავშირელობა მოჰყვეს!

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი

პროკურატურამ უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, ასევე ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ სააპელაციო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა!

საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა, ძონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ორი ფაქტი გამოავლინა და დაზარალებულების უფლებების აღდგენის მიზნით, მათთვის კუთვნილი ძონებების დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო, – ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2009-2010 წლებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყების მიზნით, მოლაპარაკებას აწარმოებდა ერთ-ერთ კერძო კომპანიასთან, რომელსაც ანაკლიასა და მის მიმდებარედ პორტის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ფართობი უნდა გამოყოფოდა. მიწის ნაკვეთის გამოყოფასა და ინვესტორისთვის გადაცემას კი, ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე არსებული მიწის ფართობის გარკვეული ნაწილი ირიცხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებად და ისინი შესაბამისი კომპენსაციის მიღების გარეშე საკუთრებას არ თმობდნენ. პროცესის გამარტივების და მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემისგან თავის არიდების მიზნით, იმჟამინდელი ხელისუფლების ცალკეული მაღალი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა დანაყოფმა, საკუთრების უფლების უხეში დარღვევით, მესაკუთრეთა ნების საწინააღმდეგოდ და მათგან ფარულად, საჯარო რეესტრში ყალბი საკადასტრო ნახაზი გადაგზავნა.

აღნიშნულის საფუძველზე, 2 000 ჰა-ზე მეტი ფართობის მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა. მათ შორის აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრებლების მიწის ნაკვეთებიც, ისე, რომ მოსახლეობას რაიმე სახის კომპენსაცია არ მიუღია, რითაც უხეშად დაირღვა მათი საკუთრების უფლება. სახელმწიფოს საკუთრებაში უსაფუძვლოდ დარეგისტრირებულ ნაკვეთებს შორის მოექცა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხამისკურში მდებარე მალხაზ ძაძამიას მიწის ნაკვეთი ფართობით 506 კვ/მ და ნანული ძაძამიას მიწის ნაკვეთები ფართობებით – 3 253 კვ/მ და 4 420 კვ/მ.

დეპარტამენტი მიმართავს სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რათა დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდეთ ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული აღნიშნული მიწის ნაკვეთები“, – აცხადებენ პროკურატურაში.

ნაცების უსამართლო სამართლით დაჩაგრული 453 პირი წარმოებულ ქონებას იბრუნებს!

მათივე ცნობით, რაც შეეხება ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხის გათვალისწინებით, პროკურატურა გამოძიების დასრულების შემდეგ მათ მიმართ მიიღებს შესაბამის სამართლებრივ გადაწყვეტილებას.

„საქმეზე პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას და აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები ასევე ეტაპობრივად დაუბრუნდებათ სხვა დაზარალებულ მოქალაქეებსაც, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურა პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას.

გარდა აღნიშნულისა, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში ჩატარებული ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა.

2006 წელს, მამუკა ნოზაძე გასამართლებული იქნა მ.მ.-სთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ძვ. რედ.) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

იმჟამინდელი გამოძიება მას ედავებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის მიმართ საადვოკატო ფუნქციების განხორციელებისას ჩადენილ თაღლითობას, რაც გამოიხატებოდა არაშესაბამის საბანკო ანგარიშზე დაკისრებული გირაოს თანხის შეტანასა და საგამოძიებო უწყებაში დამადასტურებელი ქვითრის წარდგენაში.

სასამართლოს საბოლოო განაჩენით, მამუკა ნოზაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა სამი წლისა და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

ახალი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მამუკა ნოზაძეს არანაირი შემხებლობა არ ჰქონია ბრალდებულის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმესთან და არ ყოფილა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი, ხოლო ბრალდებულის ოჯახის წევრმა უარყო მამუკა ნოზაძისთვის ფულადი თანხის გადაცემის ფაქტი. ასევე დადასტურდა, რომ მამუკა ნოზაძის მიმართ გამოძიება წარიმართა ტენდენციურად და არ მომხდარა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. შესაბამისად, ხელახალი გამოძიების შედეგად, გამოირიცხა მამუკა ნოზაძის მხრიდან რაიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ მამუკა ნოზაძის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება მსჯავრდებულის უფლების არსებითად დარღვევის თაობაზე და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით, საქმე წარიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მამუკა ნოზაძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

დეპარტამენტის შექმნიდან დღემდე დაზარალებულად იქნა ცნობილი 453 პირი, რომელთაგან 322 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა ან/და დაბრუნების პროცესშია დაახლოებით 60 000 000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. გარდა ამისა, დეპარტამენტის მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით, სასამართლოს 114 მსჯავრდებულის საქმეზე მიემართა. სასამართლოს გადაწყვეტილებით 91 პირის მიმართ უკვე დამდგარია გამამართლებელი განაჩენი, მათგან 30 პირს საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით მინიჭებული აქვს პოლიტპატიმრის სტატუსი“, – აცხადებენ პროკურატურაში.

სუპერმარკეტ „ლიბრეს“ დაყაჩაღების ფაქტზე ორი ბრალდებული დააკავეს

შიდა ქართლის პოლიციამ სუპერმარკეტ „ლიბრეს“ დაყაჩაღების ფაქტზე ორი ბრალდებული დააკავა, – ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 2 პირი: 2005წელს დაბადებული გ.თ. და 2003 წელს დაბადებული მ.ნ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მიმდინარე წლის 8 ივნისს, ღამის საათებში, გორში, სუპერმარკეტების ქსელ „ლიბრეს“ ფილიალს ყაჩაღურად თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა სუპერმარკეტის მოლარესა და კონსულტანტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ცივი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ, შემდეგ კი სუპერმარკეტიდან გაიტაცეს სეიფი მასში მოთავსებული 815 ლარით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-39) წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის საავტომობილო გზის კმ 2 (კმ 1+400)-ზე არსებულ არხზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: ბელა ნარინდოშვილის (პ/ნ 40001035894), ლელა ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032773), ჟუჟუნა ნარინდოშვილის (პ/ნ 14001005848), ლეილა ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032763) და ბორის ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032762) (შემდგომში - მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯუგაანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1700 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.06.51.344) ნაწილი - 46 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, თანამესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, თანამესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. თანამესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2022 წლის 06 მაისის №1-1/207 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ჟუჟუნა ნარინდოშვილის (პ/ნ 14001005848), ლეილა ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032763) და ბორის ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032762) თანასაკუთრებაში არსებული, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯუგაანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1700 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.06.51.344) ნაწილზე - 46 კვ. მეტრზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების: ჟუჟუნა ნარინდოშვილის (პ/ნ 14001005848), ლეილა ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032763) და ბორის ნარინდოშვილის (პ/ნ 40001032762) თანასაკუთრებაში არსებულ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯუგაანში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, 1700 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 56.06.51.344) ნაწილზე - 46 კვ. მეტრზე საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ყოჩაღ, ბიჭებო!

ეს უკვე ეროვნული ნაკრებია!

დაუწერელი სპორტული კანონია — პროფესიონალი მწვრთნელი მეორე ტაიმს იგებსო. აღნიშნული აქსიომის ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ვინილი სანიოლმა, რომლის კვალიფიციურობაში ეჭვი არც აქამდე გვეპარებოდა.

იგი თანმიმდევრობით ისტუმრებს სლოვაკი წინამორბედის — ვლადიმირ ვაისის დატოვებულ ვალებს და ბულგარელთა შემდეგ „ჯვაროსნებს“ რევანში სანაქებო მეორე ნახევრით უკვე ჩრდილოეთ მაკედონიელებთან ააღებინა — 3:0, თუმცა ფრანგი სპეციალისტისა და მისი გუნდის მორიგ წარმატებას სხვა დატვირთვაც ჰქონდა.

მოგეხსენებათ, იმ დღეს ნაცზონდერთა ევრომფარველებმა ქართველი ერისადმი კეთილი ძიებისა და დეიდების ქურქში გახვეულ კოლეგა პარლამენტარებს სამარცხვინო რეზოლუცია მიაღებინეს, რამაც ტვინგაცხელებულ ჩვენს თანამემამულეთა გარდა, მთელი ქართული საზოგადოება აღაშფოთა. ჰოდა, ღია ჭრილობის დასაამებლად უკეთეს მალამოს ძნელად თუ მოიფიქრებდა კაცი.

დიახ, თითქოს თავმოყვარეობაშელახულ თვისტომთა გულებში ისხდნენ ბიჭები, როცა კუბილიუსის, ფოტიგასა და ფონ კრამონის სახელზე გაჰქონდათ გოლები პრინციპულ მეტოქეთა კარში **(ზივზივაძე, კვარაცხელია, კიტეიშვილი)**.

დავძენთ, რომ ამ უკანასკნელმა ეროვნული ნაკრების მაისურით პირველი ბურთი მიითვალა, ხოლო „ნაპოლიში“ გადაბარგებულმა ჩვენი გუნდის ლიდერმა პირადი მონაგარი 8 გოლამდე გაზარდა. სხვათა შორის, იმავე საღამოს ერთი კარგი საქმით მაჩანჩალა გიბრალტარიც შეგვეშველა, რომელმაც ბულგარეთს საკუთარ მინდორზე ძვირფასი ქულები დააკარგვინა — 1:1.

◎ მეტოქე

მზადება ლატვიაში

ახლოვდება საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მატჩები. მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ილიას ზურაბიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა აქამდე გამართული 4 მატჩიდან 3 მოიგო და 2 შეხვედრა აქვს დარჩენილი — 1 ივლისს უკრაინასთან ლატვიაში და 4 ივლისს ესპანეთთან თბილისში. რუსეთთან ომის გამო უკრაინა საშინაო მატჩებს ვერ მასპინძლობს და შეხვედრებს ლატვიის დედაქალაქ რიგაში ჩაატარებს. მოგეხსენებათ, უკრაინას ლატვიაში სოლიდური დიასპორა ჰყავს და თან მათი მთავარი მწვრთნელიც ლატვიელია — აინარს ბაგატსკისი.

ამ მომენტისთვის უკრაინის ნაკრებში ვარჯიშობენ: ილია სიდოროვი, ვიტალი ზოტოვი, ალექსანდრ კოტლიარი, ილია ტირტიშნიკი, პაველ კრუტოუსი, ანატოლი შუნდელი, ანდრეი ვოინაროვიჩი, ივან ტკაჩენკო, არტიომ კოვალიოვი, სერგეი პავლოვი, იგორ სერგეევი, ვიაჩესლავ ბობროვი, ვიაჩესლავ კრავცოვი, დმიტრი სკაპინცევი, იუსუფ სანონი, არტიომ პუსტოვოი, ალექსანდრ მიშულა, დენის ლუკაშოვი, ალექსანდრ ლიპოვი და ვიაჩესლავ პეტროვი.

ჯერჯერობით, გაურკვეველია, ვიხილავთ თუ არა ნაკრებში ბოგდან ბლიზნიუკს, ჯერომ რენდლსა და ნბა-ში მოთამაშე უკრაინელებს — ალექსეი ლენსა და სვიატოსლავ მიხაილიუკს.

ბაგატსკისის ნაკრები რიგაში 11 ივნისამდე დარჩა, შემდეგ მზადება იტალიურ როზეტო დელე აბრუციში განაგრძო, მომდევნო საწვრთნელ ეტაპს 22-დან 26 ივნისამდე პორტუგალიურ ვიანა დუ კაშტელუში გაივლის და ამხანაგურად პორტუგალიასა და სლოვაკეთს შეხვდება, 26 ივნისიდან კი ლატვიას დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ივლისის საკვალიფიკაციო ფანჯრის დროს გაირკვევა, მოახერხებს თუ არა უკრაინის საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაციაში მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გასვლას. ამ დროისთვის, G ჯგუფს 4-დან 3 მოგებით საქართველო ლიდერობს, შემდეგ კი ესპანეთი (3-დან 3 გამარჯვება) მოდის. ამ ორ ნაკრებს მომდევნო რაუნდის საგზური უკვე განაღდებული აქვს, მე-3 იღბლიანის ვინაობა კი უკრაინასა (1 მოგება, 2 წაგება) და ჩრდილოეთ მაკედონიას (4 მარცხი) შორის გაირკვევა.

სიმბოლურია, რომ მაშინ, როცა ჩვენი უახლოესი მეტოქე მომავალი ყოფნა-არყოფნის სტატუსის მატჩისთვის ემზადება და თბილისში საზეიმოდ გაიხსნა დამდეგი ევრობასკეტის მასპინძელი მულტიფუნქციური სარბიელი, საკლუბო სეზონი ყველაზე მეტად „ჯვაროსანთა“ კაპიტანს **თორნიკე შენგელიას** გაუგრძელდა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ჩიტი ბდღვნად ნამდვილად ღირს.

საუბარია იტალიის „სერია-ა“-ს ფინალურ სერიაზე, რომლის მეორე მატჩიც „ვირტუს ბოლონიამ“ შინ სწორედ ქართველი ლეგიონერის ლიდერობით მოუგო მილანის „ოლიმპიას“ — 75:68 და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. 29 წუთში მოგროვებული 22 ქულა, 7 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა — ასეთია „ლოკომოტივის“ მიერ პარტნიორთა შთამბეჭდავ გამარჯვებაში შეტანილი პირადი სოლიდური წვლილი.

პარალელურად არანაკლებ დრამატულად ვითარდება მოვლენები ნბა-ში, სადაც „გოლდენ სტეიტმა“ სუპერფინალის მეოთხე შეხვედრა „ბოსტონს“ სტუმრად 107:97 მოუგო და საკუთარი პარკეტის უპირატესობა დაიბრუნა — 2:2. 43 წუთში 40 ქულა — ასეთია სტეფ კარის სუპერმონაგარი.

◎ ნდობა

შოთა თევზაძე — ექვს ერზე!

24 ივნისიდან 12 ივლისამდე გასამართავ ექვსი ერის 20-წლამდელთა ზაფხულის სერიებზე ქართველი რეფერი, შოთა თევზაძე იმსაჯებს. ის ტიერ2-ის ქვეყნებიდან ერთადერთი მსაჯია, რომელიც ამ ტურნირზე იქნება წარმოდგენილი.

20-წლამდელთა ზაფხულის სერიებზე, რომელსაც ვერონა და ტრევიზო უმასპინძლებს, ექვსი ერის ქვეყნების (საფრანგეთი, ინგლისი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია, იტალია) გარდა, სამხრეთ აფრიკა და საქართველო ითამაშებენ.

28 წლის ახალგაზრდისთვის ეს მორიგი ნაბიჯია იმ გრძელ და მომქანცველ გზაზე, რამაც ელიტაში მსაჯობამდე უნდა მიიყვანოს:

„კორონავირუსის გამო 20-წლამდელთა ჩემპიონატი მესამე სეზონია ვერ ტარდება და ალტერნატივის სახით რეგიონული 20-წლამდელთა ტურნირი გაიმართება. მას ექვსი ერი ატარებს მსოფლიო რაგბის მხარდაჭერით და სხვა ხუთ რეფერისთან ერთად, მსოფლიო რაგბმა მეც მიმიწვია. 20-წლამდელთა ექვს ერზე წელს ორი თამაში ვიმსაჯე, ჩემი მუშაობით ყველა კმაყოფილი დარჩა და ამ ტურნირზე მიწვევა ამის გამოძახილია. 20-წლამდელთა მაღალი დონის ტურნირები განვითარების ბოლო ნაბიჯია, რომელმაც დიდი რაგბისკენ უნდა გამიხსნას გზა და თავს არ ვზოგავ, რათა ჩვენი ქვეყანა ვასახელო“, — ამბობს თევზაძე.

სწორედ ეს გზა გაიარა ნიკა ამაშუკელმა, რომელიც ამ ზაფხულს სამხრეთ აფრიკისა და უელსის ტესტ-მატჩს იმსაჯებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ სულ მალე მის გვერდით ელიტურ სამსაჯო კორპუსში შოთა თევზაძეც გამოჩნდება. თუ ის იტალიაში დაკისრებულ ამოცანას თავს კარგად გაართმევს, მომავალი სეზონიდან ევროპის საკლუბო ტურნირებზე მიიღებს დანიშვნებს, რის შემდეგაც ტესტ-რაგბის ჯერი დადგება:

„მსაჯობა რთული პროფესიაა, უამრავი წნეხის გადალახვა გიწევს და მსოფლიო რაგბს უნდა დავანახო, რომ მე ეს შემიძლია! ისინი ცდილობენ, რომ მსაჯი ყოველმხრივ გამოსცადონ და ნაბიჯ-ნაბიჯ დაუახლოონ უმაღლესი დონის რაგბს, რათა არც თავად აღმოჩნდნენ რთულ სიტუაციაში და არც მსაჯი ჩააგდონ ასეთ მდგომარეობაში. ქართული სამსაჯო კორპუსის განვითარებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის დევიდ მაკქიუს, რომელიც ჩვენი შრომისა და თავდადების ფონზე გვერდში გვიდგას როგორც ცოდნით, ასევე კონტაქტებით და მუდმივად ზრუნავს ჩვენს განვითარებაზე“.

რაც შეეხება „ბ“ ჯგუფში მოთამაშე უმცროს „ბორჯღალოსნებს“, ისინი ზაფხულის სერიის შეხვედრებს ტრევიზოში ასეთი კალენდრით მოაწყობენ: **25 ივნისს** — იტალიასთან, **30 ივნისს** — უელსთან და **6 ივლისს** — შოტლანდიასთან.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორის **ბაჩო ხურციძის** მრავლისმეტყველი კომენტარიც: **„ჩვენთვის პატივია, რომ ექვსმა ერმა მერვე გუნდად საქართველო მიიწვია და არა ვინმე სხვა. შემოდგომის ერთა თასის შემდეგ მეორედ ვართ ექვსი ერის მიერ ორგანიზებულ ტურნირში, ახლა უკვე ახალგაზრდულ ნაკრებთა დონეზე. ეს კარგი ტენდენციაა, რადგან ექვსი ერი თავისი წევრების შემდეგ ევროპაში საუკეთესო გუნდად საქართველოს მოიაზრებს. სასიამოვნოა, ასე რომ გვიყურებენ“.**

დავძენთ, რომ პირველმა ქართულმა ფრანჩაიზმა „შავმა ლომმა“ წარმატებით დაასრულა სამხრეთ აფრიკაში გამართული „ქარის თასის“ გათამაშების რეგულარული სეზონი. ბოლო ტურში ჩვენმა გუნდმა „ლეოპარდი“ დაამარცხა — 24:14, მეოთხე ადგილი დაიკავა და ნახევარფინალურ პლეიოფში 18 ივნისს „გრიფონზს“ შეხვდება.

◎ არის ლიცენზია!

მიუნხენიდან - კრაკოვში

მიუნხენში დასრულდა მესამე ევროპული თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი და იწყება ევროპის ჩემპიონატი, სადაც ასპარეზობს საქართველოს მშვილდოსანთა ეროვნული ნაკრები გუნდი.

საკვალიფიკაციო რაუნდში წარმატებით იასპარეზა მეორე ევროპული თამაშების მონაწილე **ციკო ფუტკარაძემ**, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და 2023 წლის ევროპული თამაშების ლიცენზია მოიპოვა. შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი უახლოეს დღეებში მიიღებს.

მესამე ევროპულ თამაშებს პოლონეთის ქალაქი კრაკოვი 2023 წელს უმასპინძლებს.

◎ კორტზე

თანაბარი საპრიზო

უიმბლდონის მონაწილეებს წელს სარეიტინგო ქულები დააკლდებათ, მაგრამ სამაგიეროდ, მათთვის გაზრდილი საპრიზო ფონდია გამზადებული. მისი მოცულობა რეკორდულად მაღალი — 40.3 მილიონი გირვანქა სტერლინგია (50.5 მილიონი ამერიკული დოლარი). გარდა ამისა, ბოლო სამ წელიწადში პირველად ტურნირზე დასწრება შეუზღუდავი იქნება.

უიმბლდონს სარეიტინგო ქულები ATP-მ და WTA-მ ჩამოართვეს. ამის საბაბი ისაა, რომ ორგანიზატორები ტურნირზე თამაშის უფლებას არ აძლევენ რუს და ბელარუს ჩოგბურთელებს. უიმბლდონის ხელმძღვანელობის ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის გაჩაღებაა, რაშიც მას ხელს ბელარუსი უწყობს. მამაკაცთა და ქალთა ერთეულების ჩემპიონები თანაბარ თანხას — 2-2 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებენ. საპრიზო თანხებს საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილე ჩოგბურთელებიც გამოიმუშავებენ. ამასთან, როგორც „ოლ ინგლენდ კლაბის“ თავმჯდომარე იან ჰიუიტი ამბობს, საპრიზო თანხის განაწილება ტურნირისთვის მათი მნიშვნელობის შესაბამისად მოხდება.

გასულ სეზონში, უიმბლდონზე ჯამურმა საპრიზო თანხამ 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ჩემპიონებმა, ნოვაკ ჯოკოვიჩმა და ეშლი ბარტიმ, 1.7-1.7 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღეს. უიმბლდონის წლევანდელი ტურნირი სტარტს 27 ივნისს აიღებს და 10 ივლისს დასრულდება.

სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული სულიწმიდის ორშაბათი

13 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდ საუფლო დღესასწაულს — სულთმოფენობის ორშაბათს ზეიმობს. იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოციქულები მარიამთან და სხვა წმიდა დედებთან ერთად იერუსალიმში დაბრუნდნენ, იქ სიონში, ერთ ქოხში შეიკრიბნენ და ერთსულოვანი ლოცვით იმყოფებოდნენ... ყოველდღიურად მათ ლოცვას ქრისტეს მორწმუნეები უერთდებოდნენ. ეს სწორედ ის ქოხია, სადაც იესო ქრისტემ საიდუმლო სერობა აღასრულა.

სულთმოფენობის დღესასწაულის — ერგასის დღეს ღვთისმშობელი ყველა მოციქულთან ერთად სიონის ქოხში იმყოფებოდა და ნუგეშინისმცემელი სულის მისაღებად ლოცვით ემზადებოდნენ. დღის 3 საათზე ზეციდან მოულოდნელად ძლიერი გრუხუნი გაისმა, ისეთი, ქარიშხლის დროს რომ იცის და სახლი მთლიანად აივსო, სულიწმიდა ცეცხლის ენების სახით გამოჩნდა და თითოეულ იქ მყოფში დაემკვიდრა — ეს მოხდა ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მეათე დღეს!

სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა!

სულთმოფენობის დღესასწაულზე, წესისამებრ, წირვის დასრულების შემდეგ მუხლმოდრეკის ლოცვები იკითხება.

გიული ლიპარტია

დროებითი „წარმონაქმნი“, როდემდე!!!

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია - თბილისში?!

(მეორე გვერდიდან)

გადაშლით წიგნს და კაბინეტში გამოკრულ სურათზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზურგსუკან, კედელზე ლამაზად მოვარაყებული ჩარჩოდან თვალში გეცემათ ორ ენაზე (ქართულ, ოსურ) შესრულებული ე.წ. გერბი — „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ ,,Республика Хуссар Ирыстон“ (ესეც ნაცრეჟიმის ხელწერა — შედეგი).

წიგნის ფინალში ვეცნობით ნაცრეჟიმის თარგზე გამოჭრილ, ე.წ. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის —სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის (?!) მთავრობის პრესცენტრის განაცხადებს. აი, ერთ-ერთი, სადაც შავით თეთრზე წერია:

„29 დეკემბერს, ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთაში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართება „პრეზიდენტის ნაძვისხის ზეიმი“.

საახალწლო ღონისძიებაზე ახალგორის რაიონის სოფლებიდან, დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებიდან მოწვეულია 200 ბავშვი. ზეიმში მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი (?!) დიმიტრი სანაკოევი.

საზეიმო ღონისძიებას ორგანიზებას გაუწევენ ივ. მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, მონაწილეობას მიიღებს ასევე, ადგილობრივი ბავშვთა ანსამბლი და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ლიახვი“.

კონცერტს წარმართავს პოპულარული ტელეწამყვანი, ცხინვალელი დათო გელაძე (ჩელე) და მასთან ერთად — ახალგორელი ახალგაზრდა მომღერალი დიმიტრი ქისიშვილი **(სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეს-ცენტრი, 2006 წლის 28 დეკემბერი).**

როდემდე დროებითი ,,წარმონაქმნი“ — საქართველოში, როდემდე სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია — თბილისში?!..

ჯეროვანი დასკვნა თქვენთვის მოგვინდია, ქვეყნის მძიმე დღევანდელობის ჟამს მოძალებული პრობლემებით ისედაც გულგაჯერებულო ჩვენო მკითხველო!

რობერტ ოდიკაძე,

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

თელავში მომხდარ მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე ძებნილი პირი დააკავეს!

კახეთის პოლიციამ თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარ მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე ძებნილი პირი დააკავა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტთან ერთად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.გ. დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 მაისს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თანასოფლელ ძმებს — 1976 წელს დაბადებულ კ.მ.-ს და 1986 წელს დაბადებულ ბ.მ.-ს, ასევე, მათ დედას — 1954 წელს დაბადებულ ე.მ.-ს და საკუთარ შვილს — 1993 წელს დაბადებულ გ.გ.-ს სანადირო თოფიდან გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული დაზიანებების შედეგად, კ.მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდათ. „სამართალდამცველებმა ბრალდებული, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში დააკავეს. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გახსენება

ვანო გორგიძე - მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი



2022 წლის 12 ივნისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრს, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის ნამდვილი წევრს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველს, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეს, პროფესორს ივანე (ვანო) გორგიძეს.

ძველთაგანვე უთქვამთ — ვისაც მეტად უყვარს, ის მეტს აკეთებსო. უცილობლად აღნიშნულის გამო იყო ვანო გორგიძის სამოქმედო არეალი თვალუწვდენელი — კომპიუტერული ტექნოლოგიებიდან, მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების უმთავრეს მდგენელთა ორგანიზება-ხელშეწყობით რომაა შემოცისეგალავნებული და თან მისი გული სავსე დაუტეველი რაოდენობის მოყვასის სიყვარულით.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე — „ქვეყანას მარადიულ სიცოცხლეს ანიჭებს მისი შვილების ერთგულება, მზადყოფნა მუდმივი მსახურებისთვის. ბედნიერებაა, როცა ასეთი ადამიანებია ჩვენს გვერდით, მათ შორის არიან რჩეულებიც. ჩვენს გულებში მარად ასეთად დარჩება პროფესორი ივანე გორგიძე“.

აკადემიკოსი ი. ფრანგიშვილი — „ი.ა. გორგიძე აქტიური სისტემების ერთ-ერთი ფუძემდებელია“.

ვანოს უამრავ ღვაწლთაგან მცირედი რომ გამოვარჩიოთ, მაინც უზარმაზარი ნუსხა შეგვრჩება ხელთ, სარწმუნოებრივი და საზოგადო საქმეთა.

პროფესორი ვანო გორგიძე იყო ორგანიზატორი მრავალი საერთაშორისო პროექტისა: დიდი სისტემების მართვის სკოლა-სემინარისა, რომელიც გაიმართა თბილისში 1972-1974 წლებში; „დიდი სისტემების“ ტექნიკური კომიტეტის (საბჭოთა კავშირის მასშტაბით) 1974 წელს; საერთაშორისო სიმპოზიუმი ალმა-ატაში (ყაზახეთი) 1977 წელი; 1977 წელს, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილთან ერთად, შექმნა საწარმოო გაერთიანება „ალგორითმი“; 1981-1985 წლებში ვანო გორგიძის ინიციატივით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა; საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში 1986 წელს; 1987 წელს, ვანო გორგიძემ, გამოთვლითი ტექნიკის თბილისის სამეცნიერო ცენტრში შექმნა სტუ-სა და თსუ-ს მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრათა ფილიალები; 1987 წელს იყო რეგიონული მართვის პროექტ „აკორდის“ ხელმძღვანელი; საერთაშორისო სიმპოზიუმი ვილნიუსში (ლიტვა) 1988 წელს; ნორჩი პროგრამისტების საერთაშორისო სკოლა ლესელიძეში (საქართველო) 1988 წელს; ნორჩი პროგრამისტების საერთაშორისო სკოლა კეიფორდში (გაერთიანებული სამეფო) 1989 წელს; UNESCO-ს ეგიდით ჩატარებული ნორჩი პროგრამისტების საერთაშორისო სკოლა წყალტუბოში 1989 წელს; ინფორმატიზაციის საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი საბჭოთა კავშირში 1989 წელს; საქართველოს ინფორმატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის საზოგადოების ერთ-ერთი ორგანიზატორი 1990 წელს; ნორჩი პროგრამისტების საერთაშორისო სკოლა ბორჯომში 1990 წელს; ნორჩი პროგრამისტების საერთაშორისო სკოლა ოჰაიოში (აშშ) 1990 წელს; საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი ორგანიზატორი 1992 წელს; საერთაშორისო სიმპოზიუმი მოსკოვში (რუსეთი) 1997 წელს; XIV საერთაშორისო სიმპოზიუმი — CONTROL 2000 თბილისში 2000 წელს; ესპანეთთან ერთობლივი პროექტის „ინფორმატიკის და მიკროელექტრონიკის ახალი ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი ვანო გორგიძე და 1998-1991 წლებში შექმნა ინფორმატიკის ცენტრები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მოსკოვში; 1991 წელს ვანო გორგიძე საქართველო-კანადა-პოლონეთის ერთობლივ საწარმოში „GEORGIA-REFTEK“ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას; 1997 წელს ჩამოაყალიბა ინფორმატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

გარდა აღნიშნულისა, ვანო გორგიძის ორგანიზებით გამოცემულია, როგორც საასულიერო ისე დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა.

60-იანი წლების ბოლოს მართვის მეცნიერების წინაშე დადგა ყველაზე რთული ამოცანა — ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, კოლექტივის, საზოგადოების მართვის ამოცანა. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა „აქტიური ელემენტის ცნება, ანუ მართვის ობიექტი, რომელიც ფლობს აქტიურობის თვისებას. გამოიკვეთა აქტიური სისტემების თეორიის ქართული სკოლის კონტურები, რომლის უდავო ლიდერი გახდა ი. გორგიძე. ბატონი ვანო გორგიძე აქტიური სისტემების მართვის თეორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. მისი სამეცნიერო შრომები ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიას, მართვის პრობლემებს, მართვის სისტემებს, ორგანიზაციული სისტემების აგება-მართვას; ავტორია მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციისა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი თაოსნობით საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული წიგნი გამოსცა.

ბატონი ივანე გორგიძე უალრესად კაცთმოყვარე და მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი გახლდათ. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, საპატრიარქოს სიგელით, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის დიპლომით და სხვა მაღალი ჯილდოთი. ძნელი წარმოსადგენია ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება ისეთი ღირსეული, მრავალმხრივი მეცნიერის გარეშე, როგორიც ბატონი ვანო გორგიძე გახლდათ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ბაზელის ბეილერის ფონდსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის თანამშრომლობა იწყება...

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი ბაზელში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ბეილერის ფონდსა და ეროვნულ მუზეუმს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებები ბეილერის ფონდის დირექტორის, სამუელ კელერის მონაწილეობით გაიმართა.

„ბეილერის ფონდი შვეიცარიის ყველაზე პოპულარული მუზეუმია და ის მსოფლიოში მაღალი რეპუტაციით სარგებლობს. ფონდის კოლექციებშია მსოფლიოს 400-მდე ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარი, მათ შორის, პიკასო, მონე, სეზანი, მონდრიანი, ჯიაკომეტი, რუსო, ვარჰოლი და სხვ. ფონდის საგამოფენო დარბაზები არქიტექტორ რენძო პიანოს პროექტის მიხედვითაა აშენებული. ფონდის პოლიტიკის თანახმად, თითოეული გამოფენა იმავდროულად საგანმანათლებლო პროექტიცაა და ბავშვებსა და ახალგაზრდებში დიდ დაინტერესებას იწვევს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ბეილერის ფონდი მზადაა, 2023 წლის შემოდგომაზე, მუზეუმის საგამოფენო სივრცის ერთი ნახევარი ფიროსმანის გამოფენას დაუთმოს, ხოლო მეორე ნაწილში, ფიროსმანის შემოქმედებისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, პიკასოს ნამუშევრების ექსპოზიცია მოაწყოს. ამასთან, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემავალ მუზეუმებთან თანამშრომლობის სურვილს გამოხატავს კოპენჰაგენის ლუიზიანას მუზეუმიც.

ბაზელში სამუშაო შეხვედრა ინფინიტარტის ფონდის ინიციატივით გაიმართა, რომელიც 2019-2020 წლებში ვენაში, ალბერტინის მუზეუმში ფიროსმანის გამოფენის მთავარი ორგანიზატორი იყო. მოცემული გამოფენა ალბერტინის მუზეუმის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ გამოფენად იქნა შეფასებული.

კულტურის მინისტრმა ბეილერის ფონდის წარმომადგენლებსა და ინფინიტარტის ფონდის ხელმძღვანელს, ადრიან ბარსანს საინტერესო ინიციატივისა და ქართული კულტურით დაინტერესებისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქართული მხარის სურვილია, ნებისმიერი საერთაშორისო გამოფენა არა მხოლოდ ექსპონატებისა და ხელოვანის პოპულარიზაციას, არამედ ქართული მუზეუმის გაძლიერებას, გამოფენილი ნამუშევრების გამოკვლევასა და პრევენციულ კონსერვაციას, თანამშრომელთა ტრენინგსა და კომპეტენციის გაცვლას ისახავდეს მიზნად. შეხვედრის შედეგად შეთანხმდა, რომ მხარეები ფართო და გრძელვადიანი თანამშრომლობის ტექსტზე ერთობლივად იმუშავებენ, რაც საქართველოს მუზეუმების ინსტიტუციური გაძლიერებისა და ფონდებში დაცული ექსპონატების სათანადო კონსერვაციის საქმეში წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„არიოლ ი რეშკას“ ლიეტუვური ანალოგი აჭარაზე გადაცემას ამზადებს

პოპულარული გადაცემა „არიოლ ი რეშკას“ ლიეტუვური ანალოგი „მეტამ მონეტა“ მაყურებელს აჭარაში დასვენების შესაძლებლობებს გააცნობს. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, გადაცემაში, რომელიც ლიეტუვის წამყვან ტელეარხზე ივლისის შუა რიცხვებში გავა, ცნობილი მსახიობები და ტელეწამყვანები ლიეტუველებს აჩვენებენ, თუ როგორ და სად შეიძლება აჭარაში როგორც მდიდრულად, ისე ბიუჯეტურად დასვენება. პოპულარული გადაცემის გადამღები ჯგუფი რეგიონში აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ტურისტული სექტორის მხარდაჭერით მოგზაურობს.

გადაცემის წამყვანებმა თავად გამოცადეს ის მრავალფეროვანი ტურისტული სერვისები თუ პროდუქტები, რომელსაც აჭარა ზღვაზე და მთაში დასვენების მსურველებს სთავაზობს. მათ შორისაა ზიპლაინი და ჯომარდობა ქედაში, პარაგლაიდინგი გონიოში, იახტითა და საბაგიროთი გასეირნება ბათუმში და სხვა ტურისტული აქტივობები.

ლიეტუვა ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებთან ერთად აჭარისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტურისტულ მიმართულებას წარმოადგენს, საიდანაც დაინტერესება აჭარის ტურისტული პროდუქტებით ყოველწლიურად იზრდება. 2019 წლიდან დაიწყო და წელსაც განხორციელდება ჩარტერები ვილნიუსიდან ბათუმის მიმართულებით, რასაც რიგისა და ტალინის ფრენებიც ემატება.

მონატრებული კინოშედევრები ეროვნული არქივის კინოდარბაზში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოთეატრი აღდგენილი ქართული მხატვრული ფილმების ჩვენებებს მასპინძლობდა. 60-იანი წლების ქართული კინოს რეტროსპექტივის ფარგლებში ნაჩვენები იყო ალექსანდრე რეხვიაშვილის „მე-19 საუკუნის ქრონიკა“ (1978), ნანა მჭედლიძის „პირველი მერცხალი“ (1975) და ელდარ შენგელაიას „შერეკილები“ (1974).

საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ კინოჩვენებებზე ციფრულად რესტავრირებული ქართული კინოკლასიკის გამორჩეული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. მომდევნო ჩვენებებზე მაყურებელი იხილავს მხატვრულ ფილმებს: მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი, მწვანე ველი“ და რეზო ესაძის „ერთი ნახვით შეყვარება“. რეტროსპექტივას 19 ივნისს თენგიზ აბულაძის „მონანიება“ დახურავს. ფილმები აღდგენილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და ეროვნული არქივის თანამშრომლობით. რესტავრირებული ქართული ფილმების რეტროსპექტივა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოდარბაზში 27 მაისიდან მიმდინარეობს. კინოჩვენებებზე დასწრება თავისუფალია.

არაფერი აჯობებს ლაითურის ციხეში ჯდომას!

სპეციალური პენიტენციური სამსახური ლაითურში ახალი პენიტენციური დაწესებულების დაკომპლექტების მიზნით მოსახლეობას 500-მდე ვაკანსიას სთავაზობს, — ამის შესახებ ინფორმაციას პენიტენციური სამსახური ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სამუშაო ადგილების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სახელფასო პირობებისა და სხვა ბენეფიტების შესახებ დაინტერესებულ პირებს უწყებამ ინფორმაცია ოზურგეთში გამართული დასაქმების ფორუმის ფარგლებში მიაწოდა, რომელშიც პენიტენციური სამსახური ერთ-ერთი მსხვილი დამსაქმებლის სტატუსით იყო წარდგენილი.

„ლაითურში პენიტენციური დაწესებულების გახსნა 2022 წლის ბოლოსთვის იგეგმება. 700-მდე პატიმარზე გათვლილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი პენიტენციური დაწესებულება სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. მსჯავრდებულთა უსაფრთხოებაზე, რეჟიმის დაცვაზე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და სასჯელის ეფექტიან აღსრულებაზე პენიტენციური დაწესებულების 500-მდე ახალი თანამშრომელი იზრუნებს, რომლებიც უზრუნველყოფილნი იქნებიან კომფორტული სამუშაო პირობებით.

კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და არსებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაა პენიტენციური სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტი. ამ მიზნით უწყება ეფექტიანად იყენებს თანამშრომელთა ადგილზე სწავლების პრაქტიკასა და პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ინტენსიურად უწევს ორგანიზებას გადამზადების სხვადასხვა კურსს.

ოზურგეთში გამართული დასაქმების ფორუმი ევროკავშირის მხარდაჭერით გაიმართა და მასში 30-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია მონაწილეობდა“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 15 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9622; ევრო - 3.1382
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6865;
100 რუბლი - 5.0887; თურქული ლირა - 0.1729;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7470;
1000 სომხური დრამი - 7.0749.

ამინდი 13 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+16,	დღე	+31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge